კვირეული ბეჭდური „ვერსია“ ერთი

ვერსია

№2 (1643) 25 — 31 იანვარი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

რას ნიშნავს სამი პარტიის მიერ დაწყებული ეროვნული მოძრაობა

ლაშა დიაროვი: „ყველა, ვინც ამ გაერთიანების დისკრედიტირებას „კაგებეშნიკური“ მეთოდებით ცდილობს, „ოცნებისთვის“ მუშაობს!“

ირაკლი ღარიბაშვილის მთავარი გზავნილები დავოსის ეკონომიკური ფორუმიდან

„არ ენდო, მაგრამ ითანამშრომლე“ ანუ „როგორ იქცა ევრაზიის შუა დერეფანი ბილიკიდან გზატკეცილად“

რატომ ხდებიან გმირები მკვლელები

ვახტანგ მაისაია სამხედრო ომბუდსმენის აპარატის შექმნის ინიციატივით გამოდის

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ვინ არის სერიული მკვლელი „მიშა-ღიმილი“, რომელმაც 88 ქალი მოკლა და სიკვდილით დასჯა ორჯერ მიუსაჯეს

შოკისმომგვრელი კრიმინალური ისტორიის „ვაგნერული“ გაგრძელება

პროკურატურა მშობლების მკვლელობაში ბრალდებული ყოფილი პოლიციელის, გიორგი ბეროზაშვილის მიმართ სასამართლოს განაჩენთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს

საქართველოს პროკურატურა მშობლების მკვლელობაში ბრალდებული ყოფილი პოლიციელის, გიორგი ბეროზაშვილის მიმართ სასამართლოს განაჩენთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.

როგორც უწყების განცხადებაშია ნათქვამი, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და თბილისში, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მშობლების მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა, შენახვა, ტარებისთვის ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

„სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბრალდებულმა, წლების მანძილზე, მშობლებთან პირადი კონფლიქტისა და უთანხმოების გამო, მათი მოკვლა განიზრახა, უკანონოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი და 27 აპრილს, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ოჯახის სხვა წევრების სახლიდან წასვლას დაელოდა, რის შემდეგაც, მამის სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღიდან, მძინარე მამას თავის არეში ესროლა. შემდეგ კი მის მიერ უკანონოდ შეძენილი, სხვა ცეცხლსასროლი იარაღიდან, მძინარე დედას, ასევე, თავის არეში მიაყენა ჭრილობა. მიყენებული დაზიანების შედეგად, დაზარალებულები ადგილზე გარდაიცვალნენ.

მკვლელობის შემდეგ, კვალის წაშლის მიზნით, ბრალდებულმა სახლში ყაჩაღობის ინსცენირება მოაწყო, დანაშაულის დაფარვის მიზნით, საცხოვრებელ ბინაში ხანძარი გააჩინა და ბუნებრივი აირის ონკანი გახსნა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 2022 წლის 28 აპრილს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახის ორი წევრის მიმართ) და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა, შენახვა, ტარება) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული სრულად სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

2015-2022 წლებში, სასამართლოებმა სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე 6 593 შუამდგომლობა განიხილეს, საიდანაც 5 565 ნებართვა გაიცა

2022 წლის პირველ ცხრა თვეში, თბილისისა და რაიონული საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებმა, სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე 982 შუამდგომლობა განიხილეს, საიდანაც 722 დააკმაყოფილეს.

ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, 982 შუამდგომლობიდან, 650 – თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა, 67 – ქუთაისის, 41 – გორის, 40 – ზუგდიდის, ხოლო 27-27 – რუსთავისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოებმა.

მოსამართლეებმა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, გასული წლის ცხრა თვეში განხილული შუამდგომლობებიდან, 92 ნაწილობრივ დააკმაყოფილეს, 168-ზე კი ნებართვა არ გასცეს.

ამასთან, ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა, 650 განხილული შუამდგომლობიდან, 462 დააკმაყოფილეს, 83 – ნაწილობრივ დააკმაყოფილეს, 105 – არ დააკმაყოფილეს.

გარდა ამისა, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ვადის გაგრძელების თაობაზე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ განხილულია 222 შუამდგომლობა, მათ შორის, დაკმაყოფილდა 164, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 41, არ დაკმაყოფილდა 17.

ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, 2015-2022 წლებში, რაიონულმა სასამართლოებმა, ჯამში, 6 593 შუამდგომლობა განიხილეს, საიდანაც 5 565 შუამდგომლობა დააკმაყოფილეს. როგორც ირკვევა, 2016-2022 წლებში, რაიონული სასამართლოებიდან, ყველაზე მეტი – 4 059 შუამდგომლობა სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა, საიდანაც 3 498 დააკმაყოფილა.

რაც შეეხება წლების მიხედვით მონაცემებს, 2021 წელს, ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, თბილისისა და რაიონული საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებმა, სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე 1 207 შუამდგომლობა განიხილეს, საიდანაც 1 055 დააკმაყოფილეს, 29 ნაწილობრივ დააკმაყოფილეს, 123 კი არ დააკმაყოფილეს. 2021 წელს, თბილისის საქალაქო სასამართლომ 782 შუამდგომლობა განიხილა, 707-ზე კი ნებართვა გასცა.

2020 წლის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, თბილისისა და რაიონული საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებმა, სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე 997 შუამდგომლობა განიხილეს და მათგან 915 დააკმაყოფილეს.

2019 წელს, სასამართლოებმა 1 037 შუამდგომლობა განიხილეს, საიდანაც 875 დააკმაყოფილეს; 2018 წელს, 1 059 – განიხილეს, ხოლო 927 – დააკმაყოფილეს.

რაც შეეხება 2017 წლის მონაცემებს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მოსამართლეებმა სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე 548 შუამდგომლობა განიხილეს, 499 კი დააკმაყოფილეს.

2016 წელს, 401 შუამდგომლობა განიხილეს და მათგან 315 დააკმაყოფილეს, ხოლო 2015 წელს, განხილულია 362 შუამდგომლობა, რომელთაგან დაკმაყოფილდა 257.

ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე, სამ პირს ბრალდება წარედგინა

საქართველოს გენერალური პროკურატურის ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, დიდი ოდენობით ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლების მიზნით, ორგანიზებული ჯგუფი ჩამოაყალიბეს.

„ორგანიზებული ჯგუფის მიერ შემუშავებული დანაშაულებრივი სქემის მიხედვით, თითქოსდა, სახელმწიფო, სამინისტროების, მუნიციპალიტეტების, სხვადასხვა ორგანიზაციების მეშვეობით და ევროპული ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერით, უსახლკარო და დევნილის სტატუსის, შშმ და სპეციალური საჭიროების მქონე, ასევე, სოციალურად დაუცველი პირებისა და ემიგრანტების მოძიებას ახდენდა, რათა მათთვის ბინები თბილისსა და ბათუმში მდებარე შპს „ორბი ჯგუფის“ საცხოვრებელ კომპლექსში, ასევე, დაბა ბაკურიანსა და კურორტ საირმეში, სიმბოლურ ფასად გადაეცა.

ასევე, დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფის მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, თითქოს, სახელმწიფოს მხრიდან მოცემულ პროექტს ხელმძღვანელობდა და მისი წარმომადგენელი იყო ერთ-ერთი ბრალდებული, ხოლო დანაშაულში მონაწილე ორი პირი, როგორც ე.წ. კოორდინატორები, შესაბამისი პირების მოძიებასა და მათ პროექტში ჩართვას ახდენდნენ. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, სხვადასხვა ოდენობის თანხის გადახდის სანაცვლოდ, მოქალაქეებს აჩვენებდნენ წინასწარ ნაქირავებ ბინებს, როგორც მათთვის სახელმწიფოს მიერ გადასაცემ ქონებას და არწმუნებდნენ, რომ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“, მათ სახელზე უძრავი ქონების რეგისტრაცია მოგვიანებით მოხდებოდა.

აღნიშნული სქემით, ორგანიზებული ჯგუფის წევრები, 41 მოქალაქის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას – 1 054 150 ლარს თაღლითურად დაეუფლნენ.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ორგანიზებული ჯგუფის მიერ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არაერთგზის დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლება), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ორგანიზებული ჯგუფის მიერ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლება) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად შვიდიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ, ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს უკვე მიმართა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილე სხვა პირების დადგენის მიზნით.

საქართველოს პროკურატურა მიმართავს მოქალაქეებს, მათ მიმართ განხორციელებული ანალოგიური ქმედების არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ირაკლი ღარიბაშვილის მთავარი გზავნილები დავოსის ეკონომიკური ფორუმიდან

„არ ენდო, მაგრამ ითანამშრომლე“ ანუ „როგორ იქცა ევრაზიის შუა დერეფანი ბილიკიდან გზატკეცილად“

მაკა რუხაძე

ნელ-ნელა და ნაბიჯ-ნაბიჯ, საქართველო თავის ისტორიულ მისიას – შეასრულოს რეგიონალური ჰაბის ფუნქცია – იბრუნებს. ამის ნათელი მაგალითი და დასტურია საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მაღალი დონის საერთაშორისო ვიზიტები გასული წლის განმავლობაში. თუმცა კულმინაცია უკვე მიმდინარე წლის დასაწყისში, შვეიცარიის ალპებში, კერძოდ, დავოსში გამართული ტრადიციული ეკონომიკური ფორუმი იყო, რომლის ფარგლებშიც, ირაკლი ღარიბაშვილმა არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა, ბოლოს კი სიტყვით გამოვიდა პანელურ დისკუსიაზე – „როგორ იქცა ევრაზიის შუა დერეფანი ბილიკიდან გზატკეცილად“.

შეხვედრები პოლიტ-ეკონომიკურ ლიდერებთან

დავიწყოთ იმით, რომ დავოსის ეკონომიკური ფორუმის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ფორუმის დამფუძნებელმა კლაუს შვაბმა, შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტმა ალან ბერსემ, უკრაინის პირველმა ლედიმ ოლენა ზელენსკამ, ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ლუი ჰიმ.

ფორუმის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პირველი შეხვედრა გამართა სასურსათო პროდუქციით საცალო ვაჭრობისა და ჰიპერმარკეტების ქსელის მფლობელი კომპანიის, Majid Al Futtaim-ის აღმასრულებელ დირექტორ ჰანი ვეისთან და კატარის საინვესტიციო საზოგადოების აღმასრულებელ დირექტორ მანსურ ბინ იბრაჰიმ ალ მაჰმუდთან.

ამის შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილი შვედური გადამზიდავი კომპანიის, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საბორნე ოპერატორი კომპანიის – Stena Line-ის აღმასრულებელ დირექტორ ნიკლას მარტენსონს შეხვდა. ამ შეხვედრის ფარგლებში, ღარიბაშვილმა შვედ ბიზნესმენს საქართველოში არსებული ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს სტრატეგიული ადგილმდებარეობა ევროპის, კასპიის რეგიონის, ცენტრალური აზიისა და ჩინეთის დაკავშირების შესაძლებლობას იძლევა.

შვედური გადამზიდავი კომპანია – Stena Line, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საბორნე ოპერატორია. კომპანია ოპერირებს დანიაში, გერმანიაში, გაერთიანებულ სამეფოში, ირლანდიაში, ლატვიაში, ნიდერლანდებში, ნორვეგიაში, პოლონეთსა და შვედეთში. კომპანიის შემოსავალი 407.5 მილიონი აშშ დოლარია, რომელიც 37 გემს ატარებს ევროპის ცხრა ქვეყანას შორის, 17 საბორნე მარშრუტზე.

დავოსში ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი ღარიბაშვილი CitiGroup-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯეი კოლინზს შეხვდა. პრემიერ-მინისტრმა CitiGroup-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან საბანკო და ფინანსური მომსახურების სფეროში თანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები მიმოიხილა. ამ შეხვედრაზე, მხარეებმა განიხილეს საქართველოში არსებული საინვესტიციო პოტენციალი და ქვეყნის ფინანსურ ცენტრად გადაქცევის მიმართულებით, მთავრობის მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები.

CitiGroup უმსხვილესი ამერიკული ფინანსური ინსტიტუტია, რომელსაც ფილიალები აქვს მსოფლიოს 19 ქვეყანაში, მათ შორის, აშშ-ში, მექსიკაში, დიდ ბრიტანეთში, ინდოეთში, უნგრეთში, პოლონეთსა და ირლანდიაში. კომპანიაში 210 000 ადამიანია დასაქმებული, მისი შემოსავალი კი, 2021 წლის მონაცემებით, 71 მილიარდ აშშ დოლარზე მეტია.

დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტ ალან ბერსეს შეხვდა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში არსებულ მჭიდრო თანამშრომლობას და მეგობრულ ურთიერთობებს. გამოითქვა ქვეყნებს შორის ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მზადყოფნა. როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, მისასალმებელია, რომ საქართველოში, მრავალი წლის განმავლობაში, არაერთი შვეიცარიული კომპანია ოპერირებს წარმატებით, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნებს შორის არსებული სავაჭრო და საინვესტიციო თანამშრომლობა კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს შვეიცარიელი მეწარმეებისთვის.

შვეიცარიის პრეზიდენტის გარდა, ირაკლი ღარიბაშვილი სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ალექსანდრ ვუჩიჩსაც შეხვდა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ილჰამ ალიევი: „დიდად ვაფასებ ჩემი მეგობრის, ირაკლი ღარიბაშვილის ძალისხმევას, რომელმაც შეხვედრა გამართა სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის“

ირაკლი ღარიბაშვილის მთავარი გზავნილები დავოსის ეკონომიკური ფორუმიდან

მე-3 გვერდიდან

განსახილველი საკითხები იყო საქართველოსა და სერბეთის რესპუბლიკას შორის არსებული თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები.

რაც მთავარია, ირაკლი ღარიბაშვილმა მონაწილეობა მიიღო დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ მსოფლიო ეკონომიკური ლიდერების დისკუსიაში – „მოლაპარაკებები ახალი ენერგორეალობის თაობაზე“, რომელიც მრგვალი მაგიდის ფორმატით გაიმართა. დისკუსიის მონაწილე ლიდერებმა მსოფლიოში ენერგოკრიზისის გამომწვევ მიზეზებსა და არსებული გამოწვევების დაძლევის გზებზე იმსჯელეს.

ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა გერმანული ენერგეტიკული კომპანია – RWE AG-ის აღმასრულებელ დირექტორ მარკუს კრებერს. მხარეებმა ენერგეტიკის მიმართულებით საქართველოში არსებული რესურსები განიხილეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები დასახეს. ამ კომპანიის პორტფელი მოიცავს ქარის, მზის, წყალბადის, ბატარეების, გაზისა და სხვა განახლებადი ენერგიის წარმოებას, მასში დასაქმებულია 19 000-ზე მეტი ადამიანი, შემოსავალი კი – 24.5 მილიარდ ევროს შეადგენს.

ირაკლი ღარიბაშვილი Adani Group-ის თავმჯდომარე გაუტამ ადანისაც შეხვდა. საუბარი შეეხო კონკრეტული მიმართულებებით სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს. გაუტამ ადანი ენერგეტიკული და სატრანსპორტო-ლოგისტიკური სფეროებით დაინტერესდა. 2022 წელს, გაუტამ ადანი მსოფლიოში ყველაზე მდიდარ ადამიანად დასახელდა. მისი ქონება 155 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება. Adani Group 50 ქვეყანაში ოპერირებს, ხოლო კომპანიაში 23 000 ადამიანი მუშაობს.

დავოსში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი წამყვანი საზღვაო ტერმინალის ოპერატორი კომპანია – DP World-ის თავმჯდომარესა და აღმასრულებელ დირექტორ სულთან აჰმედ ბინ სულეიმსაც შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა პორტებისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონების განვითარების მიმართულებით საქართველოში არსებულ რესურსებზე ისაუბრეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე იმსჯელეს. DP World ლოგისტიკური კომპანიაა, რომელიც დაფუძნდა დუბაიში – არაბთა გაერთიანებულ საემიროებში. კომპანიის შემოსავალმა 2021 წელს 10.7 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რომელსაც მსოფლიოში მოქმედი 78 საზღვაო და შიდა ტერმინალის პორტფელი აქვს და მასში 56 000-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის საკითხებში ევროკომისარ იოჰანეს ჰანსაც შეხვდა, რა დროსაც განიხილეს ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების დინამიკა, ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი და საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის დღის წესრიგის ძირითადი მიმართულებები. ხაზი გაესვა ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული პოლიტიკური დიალოგის მაღალ დონეს. ირაკლი ღარიბაშვილმა იოჰანეს ჰანს საქართველოს ევროინტეგრაციის ურყევი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

ისტორიული მნიშვნელობის პანელური დისკუსია დავოსში

„დიდად ვაფასებ ჩემი მეგობრის, ირაკლი ღარიბაშვილის ძალისხმევას, რომელმაც შეხვედრა გამართა სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის“, – განაცხადა აზერბაიჯანის

პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაზე – „როგორ იქცა ევრაზიის შუა დერეფანი ბილიკიდან გზატკეცილად“, რომელშიც საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად მონაწილეობდა.

ილჰამ ალიევმა აღნიშნა, რომ თუ კავკასიის სამივე ქვეყანა გააერთიანებს ძალისხმევას ენერგიის, ტრანსპორტის, უსაფრთხოების, სტაბილურობის, საზღვრის დელიმიტაციის კუთხით, რეგიონი ბევრად უფრო უსაფრთხო იქნება.

„ორი წუთი არ იქნება საკმარისი ამბის მოსაყოლად, სად ვართ, რა ეტაპზე ვართ. ჩვენ ვართ უდაბნოს შუაში, რადგან სომხეთმა, სამწუხაროდ, არ გვიპასუხა ჩვენს წინადადებაზე, რომ მშვიდობის შეთანხმება გაფორმებულიყო. ძალიან მარტივი იყო იმ ფუნდამენტური პრინციპების საფუძველზე, რაც საერთაშორისოდ არის აღიარებული. ევროკომისარმა ჰანმა ბრძანა, რომ სომხეთი გვაკლია ამ თემატურ დისკუსიაზე, სამი ქვეყანაა რეგიონშიო, მე ვიცი ვის გულისხმობდა, რატომ არ არის სომხეთი აქ – იმიტომ, რომ ჩვენი წინადადება საქართველოსთან ერთად იყო, სამმხრივი ფორმატი დაგვეწყო და ამაზე უარი თქვა სომხეთმა.

დიდად ვაფასებ ჩემი მეგობრის, ირაკლი ღარიბაშვილის ძალისხმევას, რომელმაც შეხვედრა გამართა სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის. ჩვენი წინადადება იყო, რომ ლიდერები შევხვედროდით საქართველოში, რადგან ლიდერები ისტორიულად იქ იკრიბებიან, მაგრამ სომხეთი ამისთვის არ არის მზად. ეს არის ერთ-ერთი პოტენციური რისკი, რადგან კავკასიის სამივე ქვეყანა თუ გააერთიანებს ძალისხმევას ენერგიის, ტრანსპორტის, უსაფრთხოების, სტაბილურობის, საზღვრის დელიმიტაციის კუთხით, უფრო უსაფრთხო იქნება რეგიონი“, – განაცხადა ალიევმა.

ილჰამ ალიევის ამ განხადებამ ხაზი გაუსვა საქართველოს ისტორიულ მისიას, სადაც დაპირისპირებული მხარეები – სომხეთი და აზერბაიჯანი მოსალაპარაკებლად იკრიბებიან. მეტიც, ალიევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად და პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობის კიდევ უფრო გასაღრმავებლად, ამ ეტაპზე, მზად მხოლოდ საქართველო და აზერბაიჯანი არიან.

ამის შემდეგ, პანელურ დისკუსიაზე სიტყვით საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი გამოვიდა და მადლობა გადაუხადა შეხვედრის ორგანიზატორებს. ირაკლი ღარიბაშვილმა საუბარი უკრაინაში მიმდინარე ომით დაიწყო და აღნიშნა, რომ ესაა კატასტროფული ომი მთელი რეგიონისთვის, რომელიც საქართველოსაც ეხება:

„ამ ომმა დაგვანახა, რომ ქვეყნებმა და ერებმა უნდა მოახდინონ ეკონომიკების დივერსიფიკაცია. ომამდე, ქვეყნები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ შუა დერეფანს, მაგრამ ომის შემდეგ, ყურადღება გააქტიურდა და გაიზარდა. ამიტომ, როგორც ბატონმა პრეზიდენტმა ალიევმა ბრძანა, მეც გავიმეორებ, რომ ბრწყინვალე ურთიერთობები გვაქვს აზერბაიჯანთან, ყაზახეთთან, თურქეთთან. ჩვენ სტრატეგიული პარტნიორობა გვაქვს და ჩვენი შერწყმა ძალიან კარგია“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

დასასრული მე-5 გვერდზე

ირაკლი ღარიბაშვილის მთავარი გზავნილები დავოსის ეკონომიკური ფორუმიდან

მე-4 გვერდიდან

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველო დიდ კაპიტალდაბანდებას ახორციელებს ინფრასტრუქტურაში. გზატკეცილები, რომლებიც ქვეყანაში შენდება, 2024 წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს. ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ამ საგზაო იონფრასტრუქტურის მშენებლობაში 2.3 აშშ მილიარდი დოლარი ჩაიდო, რომელიც ხელს შეუწყობს ტრანსპორტირების მიმართულებას.

„აქვე, მინდა, ვახსენო საპორტო ინფრასტრუქტურა – შავ ზღვაზე საქართველოს პორტები საკმაოდ დიდია, მაგრამ კიდევ უნდა გავზარდოთ შესაძლებლობები. ერთი კონკრეტული პროექტი მინდა ვახსენო – ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ საქართველოს მთავრობა დაიწყებს ამ პორტის მშენებლობას. 51% ამ ობიექტისა, ამ კონსორციუმისა იქნება საქართველოს მთავრობის მფლობელობაში, 49%-ზე კი – გამოცხადდება საერთაშორისო ტენდერი. ჩვენ საუბარი გვაქვს ბევრ პოტენციურ ინვესტორთან ამ მიმართულებით, თუ რატომ ვაკეთებთ ამას. მოგახსენებთ, რატომ გვინდა ამ პორტის მშენებლობა. პრეზიდენტმა ალიევმა ბრძანა, რომ მზარდია პოტენციალი აზერბაიჯანის პორტებში, ყაზახეთსაც იგივე მზარდი პოტენციალი აქვს, საქართველოს 550 000 ტონა შეუძლია გაატაროს ფოთში და 200 000 – ბათუმში. ეს არ არის საკმარისი, მინდა, რომ ეს პროექტი განვახორციელოთ შესაძლებლობის გაზრდის მიზნით“.

ირაკლი ღარიბაშვილმა პანელურ დისკუსიაზე ყურადღება გაამახვილა ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის, როგორც ამბიციური პროექტის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს ძალიან საინტერესო ინიციატივაა, რომელსაც საქართველო, აზერბაიჯანთან, რუმინეთთან და უნგრეთთან ერთად ახორციელებს. საქართველოს მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ინიციატივა მხარდაჭერილია ევროკავშირის მიერ:

„2022 წლის დეკემბერში, ბუქარესტში ვიყავით და ხელი მოვაწერეთ ურთიერთგაგების მემორანდუმს. ოთხივე ქვეყანა განახორციელებს ამ პროექტს და ინვესტიციას ჩადებს ამ ამბიციურ პროექტში. ეს ძალიან საინტერესო ინიციატივაა, ამიტომ მზად უნდა ვიყოთ, რომ გაიზრდება საქონელბრუნვა ამ დერეფანში. ეს მარშრუტი ყველაზე მოკლეა ევროპასა და მწარმოებლებს შორის. მაგალითად, ჩინეთიდან მომავალი მატარებელი, საქართველოს გაივლის 15-20 დღეში, არადა, ზღვით, 45 დღე სჭირდება. აქედან გამომდინარე, ეს საინტერესო, მნიშვნელოვანი დერეფანია, ყველა ეს ქვეყანა ნამდვილად მოტივირებულია და მიზნად ისახავს ამ დერეფნის განვითარებას. ორი თვის წინ ვიყავით ყაზახეთში და შევთანხმდით საგზაო რუკაზე, როგორ განვავითაროთ ეს დერეფანი და როგორ მოვხსნათ ეს ხელოვნურად შექმნილი ბარიერები – ამ მიმართულებით, აქტიურად მივდივართ. ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მიგვაჩნია, რომ დიდი პოტენციალი გვექნება და ყველა ეს ქვეყანა სარგებელს მიიღებს ამ დერეფნიდან“.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა, სხვა მონაწილეების მსგავსად, პანელურ დისკუსიაზე მოდერატორის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელი დირექტორის მირეკ დუშეკის კითხვებს უპასუხა. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ამ ეტაპზე, საქართველო ახორციელებს რკინიგზის მოდერნიზაციას. გარდა ამისა, მიმდინარეობს მუშაობა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზაზე:

„ჩვენ გვაქვს გზატკეცილები და რკინიგზა. ამ ეტაპზე, რკინიგზის წარმადობაა 25 მილიონი ტონა წელიწადში. ჩვენ, ამ ეტაპზე, რკინიგზის მოდერნიზაციას ვახორციელებთ, რაც 2024 წლის ბოლოსთვის დასრულდება, რა დროსაც მისი წარმადობა 48 მილიონი ტონა იქნება. გარდა ამისა, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზაზე ვმუშაობთ აზერბაიჯანთან. რამდენიმე თვის წინ, აზერბაიჯანმა დამატებითი დაფინანსება გამოყო ამ პროექტის დასასრულებლად, რომელიც მზად იქნება 2024 წელს – ამ პროექტიდან 25 მილიონი ტონა შემოვა, ამიტომ ეს სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტებია.

აქვე, მინდა, ვახსენო ურთიერთობა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის. ეს ურთიერთობა დრომ გამოსცადა. სანდოობა უმაღლეს დონეზეა. ჩვენ ერთად განხორციელებული გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული პროექტები, ნავთობისა და ბუნებრივი აირის მილსადენები, ახლა რკინიგზის პროექტი და ბევრი სხვა, რომელიც მომავალში იქნება“.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ბიზნესკლიმატი აქვს, ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით მეშვიდე ადგილზეა მსოფლიოში და პირველ ათეულშია:

„პირველ ოცეულშიც კი ვართ ეკონომიკური თავისუფლებისა და ბევრი სხვა რეიტინგის, თუ ინდექსების კონტექსტში, ამიტომ ძალიან დიდი პოტენციალი გვაქვს ქვეყანაში. აქვე, მინდა, ვახსენო, რომ ჩვენც გვაქვს თავისუფალი სამრეწველო და ეკონომიკური ზონები, ოთხია ასეთი საქართველოში. როგორც პრეზიდენტმა ალიევმა ბრძანა, ეს არის იშვიათი შესაძლებლობა უცხოური კომპანიებისთვის, რომ ჩამოვიდნენ, შექმნან საწარმოები, ჩადონ ინვესტიციები საქართველოსა და აზერბაიჯანში. ყოველივე ამის დაკავშირება გვსურს განახლებად ენერგიასთან. საქართველო მდიდარია ჰიდროენერგორესურსებით. ამჟამად, შესაძლებლობათა მხოლოდ 27%-ს ვიყენებთ. ჩვენ შევიმუშავეთ სტრატეგია, სადაც ვგეგმავთ დიდ ინვესტიციებს განახლებად ენერგიაში – წყლის, მზის, ქარის ენერგიაში და ა.შ.

გვინდა, გამოვიყენოთ ეს იაფი ენერგია და ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობა – ეს ყველაფერი, ჯამში, ხელს შეუწყობს ბიზნესის კეთებას, რაც ინვესტორებისთვის იქნება მომგებიანი. მმართველობის საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა პრეზიდენტმა ალიევმა ძალიან სწორად ბრძანა, რომ გვქონდა შეხვედრა ყაზახეთში, სადაც ხელი მოვაწერეთ ე.წ. საგზაო რუკას, თუ როგორ შევუწყოთ ხელი ამ მიმართულებას, როგორ მოვხსნათ ბარიერები და მიმაჩნია, რომ შევთანხმდებით მომდევნო ნაბიჯებზე. ჩვენი გეგმაა, რომ საწყისი საგზაო რუკა, რომელზეც შევთანხმდით 2027 წლამდე, ამ პერიოდში უნდა მოვამზადოთ ეს საკითხი ამ დერეფნისთვის“.

პანელური დისკუსიის ფარგლებში, ირაკლი ღარიბაშვილმა ყურადღება დაუთმო რეგიონში არსებულ ვითარებასაც:

„რაც შეეხება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ურთიერთობებს, მინდა, გითხრათ, რომ საქართველო არის ნამდვილად ნეიტრალური, ობიექტური და მიუკერძოებელი მედიატორი. რაც ბატონმა პრეზიდენტმა – ილჰამ ალიევმა ბრძანა, ნამდვილად ჩვენს ინტერესებშია, რომ შედგეს სამმხრივი შეხვედრა იმიტომ, რომ ეს რეგიონი გვეკუთვნის ჩვენ – აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს და ჩვენ შეგვიძლია, გარდავქმნათ ეს რეგიონი რეგიონულ შესაძლებლობებად, მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის შესაძლებლობებად.

ერთი რამ მინდა ვახსენო – ცივი ომისა და საბჭოთა კავშირის პერიოდში, არსებობდა ერთი, საზოგადოდ ცნობილი ტერმინი – „ენდე, მაგრამ გადაამოწმე“. დავოსში მოვისმინე საინტერესო ფორმულა – „არ ენდო, მაგრამ ითანამშრომლე“, ასე რომ, მე მჯერა თანამშრომლობის“.

რატომ ხდებიან გმირები მკვლელები

ვახტანგ მაისაია სამხედრო ომბუდსმენის აპარატის შექმნის ინიციატივით გამოდის

თათია გოჩაძე
598-43-50-34

20 იანვრის ღამე საგარეჯოსა და მთელი საქართველოსთვის უმძიმესი აღმოჩნდა – შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადებით, საცხოვრებელი სახლის აივნიდან ყოფილი სამხედრო ნოდარ ათუაშვილი ისროდა, რის შედეგადაც დაიღუპა ხუთი ადამიანი, მათ შორის, შემთხვევის ადგილზე მისული ერთი პოლიციელი და დაიჭრა კორპუსის ეზოში მყოფი ოთხი პირი. თავდამსხმელმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა – სულ დაიღუპა ექვსი ადამიანი. მედიის ცნობით, ყოფილ სამხედროს, რომელიც აგვისტოს ომის მონაწილე იყო, ავღანეთსა და სხვა მისიებშიც მონაწილეობდა, ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა, თუმცა ოფიციალური განცხადება ამის შესახებ ჯერ არ გავრცელებულა.
რა სახის ფსიქოლოგიური პრობლემები შეიძლება შეექმნათ ომის ვეტერანებსა და სამხედრო პირებს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის შემდეგ და რა სერვისებს სთავაზობს სახელმწიფო, თუკი მათ ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია სჭირდებათ? – „ვერსია“ სამხედრო ანალიტიკოს ვახტანგ მაისაიას ესაუბრა.

– ბატონო ვახტანგ, ძირითადად, რა პრობლემები ექმნებათ სამხედრო პირებს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით და რას აკეთებს სახელმწიფო მათ სამკურნალო-სარეაბილიტაციოდ?

– ამ ეტაპზე, კიდევ კარგი, რომ ეს ერთეული შემთხვევაა, მაგრამ როგორც ჩანს, პრობლემა არსებობს. როგორც ვიცი, 2013 წელს, როცა ბატონი ვახტანგ კაპანაძე იყო გენშტაბის უფროსი, შეიქმნა სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც უწევდა დახმარებას დაჭრილ და დასახიჩრებულ სამხედროებს. ახლა რა სიტუაციაა, ვერ გეტყვით, რადგან ინფორმაცია არ ვრცელდება. ზოგადად, თავდაცვის სამინისტრო ნაკლებტრანსფარანტულია ხოლმე ასეთი საკითხების მიმართ, თუმცა როგორც აღვნიშნე, არსებობს ფსიქორეაბილიტაციის ცენტრი არა მხოლოდ დაჭრილ-დასახიჩრებული ჯარისკაცებისთვის. მსგავსი ღონისძიებები აქვს ვეტერანთა სამსახურს, რომელიც ქმედითი სტრუქტურაა და მუშაობს ვეტერანთა სოციალური, ჯანდაცვისა და სხვა პრობლემების მოსაგვარებლად. ბატონი კობა კობალაძე, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი, საკმაოდ კარგად უძღვება ამ მიმართულებას, რაც ვეტერანთა პირობების გაუმჯობესების კუთხითაც ჩანს. როგორც იცით, ვეტერანებს გაუზარდეს ფინანსური კომპენსაცია. რა თქმა უნდა, ეს თანხა ძალიან ცოტაა დღევანდელი ჰიპერინფლაციის პირობებში (ადრე, 22 ლარს აძლევდნენ ვეტერანს, ახლა კი, თუ არ ვცდები – 100 ლარს).

ვეტერანებისთვის ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის შექმნა აუცილებელია, რადგან საქართველო, უახლეს ისტორიაში განვითარებული მოვლენებისა და სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობიდან გამომდინარე, ომის ვეტერანთა რაოდენობის მიხედვით, წამყვან პოზიციაზეა. ჩვენ გვაქვს აფხაზეთის ომის, ცხინვალის, ავღანეთის, ერაყის ომების სინდრომი. თავადაც ვმონაწილეობდი ავღანეთში, ჩვენი სამშვიდობოების მომზადების პროცესში. მაშინ უნდა შეგვექმნა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი, რადგან თავიდანვე ვამბობდი, რომ ამ საკითხს სერიოზული ყურადღება სჭირდებოდა.

მიხეილ სააკაშვილის პერიოდში, ნაკლებად აქცევდნენ ამას ყურადღებას, ხოლო როცა ვხატანგ კაპანაძე გახდა გენშტაბის უფროსი, ეს პროცესი დაიწყო, რადგან თვითონაც მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში, იყო დაჭრილი და კარგად ესმოდა სამხედროების სულისკვეთება. ბატონი ვახტანგი ახლა აღარ არის, სამწუხაროდ, გენშტაბის უფროსი და ახლა როგორი სიტუაციაა, ნამდვილად არ ვიცი. ვეტერანთა სამსახური უფრო მუშაობს ამ მიმართულებით. შექმნილია ვეტერანთა დახმარების ფონდი და დეკემბერში გაიმართა ამ ფონდის მორიგი პროექტის პრეზენტაცია, მაგრამ ეს არაა საკმარისი, რადგან ეს საკითხი უნდა იყოს ეროვნულ დონეზე აყვანილი.

უნდა შეიქმნას სპეციალური ფსიქორეაბილიტაციის ცენტრი; სოციალურ-ეკონომიკური დახმარების პაკეტები. ასევე, ძალიან კარგი პროექტი იყო, რაშიც მეც ვმონაწილეობდი, რომ შესულიყო სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლება. მოსწავლეებს სამხედრო საკითხებზე გაკვეთილებს ჩაუტარებდნენ ყოფილი სამხედროები, მათი გადამზადების პაკეტიც კი არსებობდა. უნდა მომზადებილიყო სპეციალური სახელმძღვანელო, რაზეც მუშაობდა ვეტერანთა სამსახურიც და ჩართული იყო განათლების სამინისტროც, მაგრამ ეს თემა მიჩუმათდა. ეს ინიციატივა ორი-სამი წლის წინ გაჩნდა, თუმცა არ განხორციელდა.

– რატომ?

– არ ვიცი, ვერ გეტყვით, როგორც ჩანს, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი შემცირდა და ალბათ, თავდაცვისა და განათლების სამინისტროებს შორის ვერ მოხდა კოორდინაცია.

– ბატონო ვახტანგ, აშშ-ში, ომის ვეტერანებს კომპლექსურ სერვისებს სთავაზობს სახელმწიფო – ცალკე საავადმყოფოები, დასასვენებელ-სარეაბილიტაციო ცენტრებია შექმნილი. გასაგებია, რომ საქართველოსა და აშშ-ის ეკონომიკურ-სოციალური თუ სხვა ასპექტებით შედარება შეუძლებელია, მაგრამ საქართველოს შესაძლებლობების ფარგლებში უნდა შეიქმნას თუ არა მსგავსი კომპლექსური სერვისები ომის ვეტერანებისა და სამხედრო პირთათვის?

– დიახ, გეთანხმებით, ეს ცენტრალური მთავრობის პრიორიტეტული საკითხი უნდა გახდეს და გადაეცეს ვეტერანთა სამსახურს, რომლის სტატუსიც უნდა გაიზარდოს და გახდეს დამოუკიდებელი სამინისტრო, რადგან გავიმეორებ – საქართველოში, ერთ სულ მოსახლეზე, ყველაზე დიდი რაოდენობის ვეტერანები გვყავს – რამდენიმე სერიოზული ომი გავიარეთ, ასევე, სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობდნენ ჩვენი სამხედროები და დანაკარგიც დიდი გვქონდა, სამწუხაროდ.

აქედან გამომდინარე, უნდა შეიქმნას სპეციალური სამინისტრო, შეიქმნას ბიუჯეტი ამ მიმართულებით. ყველა ამბობს ღარიბი ქვეყანა გვაქვსო, თუ ასეა, ღირსეულად უნდა მივაგოთ პატივი ჩვენს ვეტერანებს. აქვე უნდა შევიდეს სამხედროების გადამზადებისა და სოციალურ-ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საკითხები.

საგარეჯოში მომხდარ ამბავს რომ დავუბრუნდეთ, გავრცელებული ინფორმაციით, ამ ადამიანს ჰქონდა ფსიქიატრიული პრობლემები, მაგრამ რამაც მოახდინა ამის კატალიზაცია, გასაგებია – რთულმა სოციალურმა პირობებმა. არ შეიძლება, რომ სახელმწიფომ მიაგდოს ეს ადამიანები, ვისაც საბრძოლო გამოცდილება აქვს, რადგან ამან, შეიძლება, პრობლემები შექმნას კრიმინალური თვალსაზრისითაც.

– დიახ, მაგალითად, ბადრი ესებუას შემთხვევაში, რაც მოხდა...

– დიახ, ესებუამ განახორციელა ტერაქტი. პირველად მე ვთქვი, რომ ეს იყო ტერაქტი და შემდეგ მისცეს ასეთი კვალიფიკაცია. ტერაქტი იმიტომ იყო, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ გაილაშქრა ძალადობრივად, მას ჰქონდა პოლიტიკური მოტივი, ეს კარგად გამოიკვეთა და ეს იყო პირველი სიგნალი, რის შემდეგაც, ამ კუთხით უნდა გადაედგა ნაბიჯები სახელმწიფოს. ვერ ვიტყვი, რომ არაფერი კეთდება, მაგრამ გასაკეთებელი გაცილებით მეტია. მისაღებია შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი, რადგან სახელმწიფო ვალშია ვეტერანებსა და იმ ადამიანებთან, რომლებიც სიცოცხლეს სწირავდნენ სამშობლოსთვის.

– აქვე ხაზგასასმელია, რომ „გირჩი“ არაერთ ახალგაზრდას აძლევს საშუალებას, თავი აარიდოს სამხედრო სავალდებულო სამსახურს... ეს არასერიოზულ დამოკიდებულებას ქმნის ქვეყნის თავდაცვის თვალსაზრისით...

– ეს კიდევ ცალკე თემაა. საქართველოს თავდაცვის პოლიტიკა არასრულყოფილია, ეს თავდაცვის პოლიტიკის სერიოზული პრობლემაა, რაც არასდროს მითქვამს. უკრაინის ომმაც დაგვანახა, როგორ უნდა გამოგვესწორებინა შეცდომები, რადგან პრობლემატური თემაა – რამდენად გვაქვს თავდაცვისუნარიანი სახელმწიფო. როგორ უნდა დავიცვათ თავი არა მხოლოდ კონვენციური, არამედ, სხვა სამხედრო და ტერორისტული საფრთხეებისგან – ყველაფერი ეს, კომპლექსურ ხედვას მოითხოვს და თავდაცვის პოლიტიკას ეხება. მთავრობამ წამოაყენა თავდაცვის რეფორმების განვითარების პროექტი, რომელიც სამი წელი უნდა გაიწელოს, მაგრამ ჯერ არ არის გამოკვეთილი კონკრეტული, კონცეპტუალური მიმართულება, რაც პრობლემაა, რადგან საქართველოში სამხედრო კადრებისა და ექსპერტების სერიოზული დეფიციტია და უმაღლესი სამხედრო განათლებაც პრობლემატურია. არ შეიძლება, შენი თავდაცვის სისტემა მოარგო სხვა ქვეყნის თავდაცვის მაგალითს. დიდ პატივს ვცემ აშშ-ს, მაგრამ მას თავისი გეოპოლიტიკური ვითარება აქვს და თუ მის სისტემას ჩვენს გეოპოლიტიკურ ვითარებას ვერ მოვარგებთ, ფუჭი იქნება ყოველგვარი მცდელობა. აგვისტოს ომმა გამოაჩინა ჩვენი თავდაცვის სისტემის სუსტი წერტილები. წინა ხელისუფლება მედავებოდა იმის გამო, რომ დავწერე აგვისტოს ომის სამხედრო ანალიზი და სულ ახლახან, ჩამომივიდა ოფიციალური წერილი პოლონეთიდან, რომ ჩემი ანალიზი, რომლის გამოქვეყნება მაინც მოვახერხე სამხედრო ჟურნალში, გაითვალისწინეს და მადლობა გადამიხადეს. ეს ჩემი რეაბილიტაციაა, რადგან რის გამოც სააკაშვილმა ციხეში გამიშვა, დღეს ნატო-ს წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა მადლობა გადამიხადეს. წინა ხელისუფლება ადამიანებს იჭერდა ამის გამო, დღევანდელი ხელისუფლება კი მათ იდეებს აიგნორებს.

– მინდა, საზოგადოების წილ პასუხისმგებლობაზეც ვისაუბროთ. როცა ვხედავთ აგრესიულ ადამიანს, ძალადობას და გამოკვეთილ ფსიქიკურ პრობლემებს, გადამწყვეტად მნიშვნელოვანია, დროულად ვაცნობოთ შესაბამის სტრუქტურებს...

– ჩემი აზრით, ეს მაინც სახელმწიფოს პრეროგატივაა. ამისთვის არსებობს ძალოვანი სტრუქტურები. საინტერესოდ მიმაჩნია, რომ შეიქმნას სამხედრო ომბუდსმენის აპარატი, ამ საკითხს საჯაროდ ვაყენებ. ყოფილმა ომბუდსმენმა, უჩა ნანუაშვილმა ეს გაითვალისწინა და თავისსავე სტრუქტურაში ცალკე დეპარტამენტი შექმნა ამ მიმართულებით, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. სამხედრო ომბუდსმენი ცალკე უნდა იყოს. პრეზიდენტსაც შევთავაზე, ქალბატონ სალომეს, რომ შექმნილიყო მის დაქვემდებარებაში ეს აპარატი, რადგან ეს აუცილებელია. ბიზნესომბუდსმენი თუ არსებობს, სამხედრო ომბუდსმენი რატომ არ უნდა იყოს, რომელიც არსებულ პრობლემებს განიხილავს, შეისწავლის და ირეაგირებს, რომ აღარ მოხდეს მსგავსი ტრაგედიები.

რას ნიშნავს სამი პარტიის მიერ დაწყებული ეროვნული მოძრაობა

თათია გოჩაძე
598-43-50-34

23 იანვარს, რუსთაველზე, სამი პარტიის გაერთიანებამ – „დროა“, „გირჩი-მეტი თავისუფლება“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“ საგანგებო ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ სამოქალაქო საზოგადოების არაერთ ცნობილ სახესთან ერთად, იწყებს ეროვნულ მოძრაობას, რომლის მიზანიც 24 თებერვალს, უკრაინის მხარდამჭერი აქციის გამართვა და საბოლოო ჯამში, ხელისუფლების შეცვლაა. ამ გაერთიანების წევრია სტრატეგია აღმაშენებლის ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელი და პარტიის პოლიტსაბჭოს წევრი ლაშა დიაროვიც, რომელმაც სოციალურ ქსელში დაწერა:

„... უამრავი განსხვავებული ადამიანი შევიკრიბეთ პირველ სკოლასთან და დავაანონსეთ 24 თებერვლის აქცია! გავერთიანდით პოლიტიკური პარტიები, აქტივისტები, ცნობილი სახეები: აკია ბარბაქაძე, ლელა ჯეჯელავა, დათო ქაცარავა, გია ბუღაძე, კოტე ყუბანეიშვილი, ირაკლი ტაბლიაშვილი, პირველი პარლამენტის დეპუტატები და სხვა უამრავი საინტერესო პიროვნება. ერთი სიტყვით, 24 თებერვალს, დიდი აქცია გვექნება და ეს განგრძობად პროტესტში გადაიზრდება.

ამ ძალიან მნიშვნელოვან პროცესს, ქოცებისგან გუშინწინ წამოსულმა ნეოქოცმა ნათია მეზვრიშვილმა სამარცხვინო პოსტი მიუძღვნა და გიორგი ვაშაძე ქოცებთან თანამშრომლობაში დაადანაშაულა. გესმით, მეგობრებო? ქოცი მინისტრის, გიორგი გახარიას მარჯვენა ხელმა, ვაშაძე ქოცობაში დაადანაშაულა, ამაზე დიდი მარაზმი გინახავთ? ნათია მეზვრიშვილმა და მისმა მინისტრმა გახარიამ უკვე აგეს პასუხი იმაზე, რაც ჩაიდინეს? არ მახსენდება.

20 ივნისს, დათვის ტყვიები გვესროლეს ახალგაზრდებს, ჩემს მეგობრებს თვალები დასთხარეს და სასტიკად დაგვარბიეს, დღეს ეს ხალხი ქოცობაში გვადანაშაულებს და იცით, ეს რისი ბრალია? ეს იმის ბრალია, რომ აი, ამ ნაძირლებს თავის სახელს არ ვარქმევთ და საჯაროდ არ ვახსენებთ იმას, რაც ჩაიდინეს!

სწორედ, გიორგი გახარია და მისი გუნდი არიან პასუხისმგებელნი 20 ივნისის დარბევაზე და ბავშვებისთვის თვალების დათხრაზე!

ეს მავნებელი ნეოქოცი საერთოდ რომ ბედავს ხმის ამოღებას, ეგ ჩვენი სირცხვილია!“ მანამდე კი გიორგი გახარიას თანაგუნდელმა სოციალურ ქსელში ეს პოსტი გამოაქვეყნა:

„B R E A K I N G – ეროვნული მოძრაობა ვაშაძის მეთაურობით:) ასე ცდილობს ბიძინა ყველაფრის გაფუჭებას, რაშიც რეალური ცვლილების რესურსს ხედავს. დამხმარეც ოხრადაა. რაღაცა წმინდა დატოვეთ:) გულწრფელ ხალხს რაღას იყენებთ? დიდი ხანია, „ოცნება“ ვაშაძეს (და არა მხოლოდ), ყველაფერი ჩვენს მიერ გაჟღერებულის გასაფუცანებლად იყენებს“.

„ვერსია“ ლაშა დიაროვთან ინტერვიუს გთავაზობთ:

– ეს გაერთიანება ემსახურება ახალი ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბებას, რომელიც ამ ქვეყანას გადაარჩენს რუსული ხელისუფლებისგან და საბოლოოდ, ყველაფერი ეს დამთავრდება ქვეყნის გაერთიანებითა და დეოკუპაციით. ამ გაერთიანებაშია სამი პოლიტიკური პარტია: „დროა“, „გირჩი-მეტი თავისუფლება“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“. ამასთან, შემიგვიერთდა არაერთი ექსპერტი, აქტივისტი, ცნობილი სახე... ეს ჯგუფი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ბრიფინგში გამოჩნდა. პირველ რიგში, ვემზადებით 24 თებერვლის აქციისთვის, რაც შეეხება უკრაინისთვის სოლიდარობის გამოცხადებას, ეს არის დღე, როცა ერთი წლის წინ, რუსეთი შეიჭრა უკრაინაში და მაშინ საბოლოოდ ჩამოიხსნა სახიდან ნიღაბი ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, ღიად აირჩია რუსული გზა. დაუჭირა მხარი ჩვენს მტერ რუსეთს და არა – მეგობარ უკრაინას, რასაც ყოველდღე ამტკიცებს...

ლაშა დიაროვი: „ყველა, ვინც ამ გაერთიანების დისკრედიტირებას „კაგებეშნიკური“ მეთოდებით ცდილობს, „ოცნებისთვის“ მუშაობს!“

– ლაშა, ასეთი გაერთიანებები აქამდეც ვნახეთ, რომელმაც აქტიურობა პირველივე ბრიფინგის შემდეგ შეწყვიტა... ამიტომ, საზოგადოებაში დიდი უნდობლობა და ნიჰილიზმია. თქვენ რატომ უნდა დაგიჯეროთ ხალხმა?

– გეთანხმებით, იყო სხვადასხვა გაერთიანება, თუმცა პოლიტიკური პარტიების მონაწილეობით ამდენი ადამიანის გაერთიანება, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ არ ყოფილა. 2018-ში კი, როცა ოპოზიცია გაერთიანდა, პირველი ტური მოიგო. ეს მოაქვს გაერთიანებას და როცა ხალხი დაინახავს ამ ძალას, რომ ბევრი წესიერი და პატიოსანი ადამიანია გაერთიანებული, ისეთი პასუხი ექნება, როგორიც 2018 წელს ჰქონდა.

როცა ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში შიდაპოლიტიკური ამბები გაირკვევა და დასრულდება არჩევნები, დარწმუნებული ვარ, ეს პარტიაც აუცილებლად შემოუერთდება 24 თებერვლის აქციას.

– ელოდებით, რომ ეს აქციაც ისეთი მასშტაბური იქნება, როგორიც ზაფხულში იყო? ამასთან, საინტერესოა, პერმანენტული სახე ექნება აქციებს?

– ეს არ არის ერთჯერადი აქცია, ესაა შემზადება იმ პროცესისა, რომელიც დასრულდება დიდი საპროტესტო მუხტითა და პრორუსული, მოღალატეობრივი რეჟიმის ცვლილებით. რაც შეეხება მოლოდინს, დარწმუნებული ვარ, ქართველ ხალხს გადაწყვეტილი აქვს, რომ ქვეყანა უნდა დარჩეს პროდასავლურ რელსებზე და გაცხადებულია, რომ ქართველი ხალხი გულშემატკივრობს უკრაინას. ეჭვიც არ მეპარება, რომ უკრაინის ომის წლისთავზე, ბევრი ადამიანი გამოვა და გამოხატავს სოლიდარობას უკრაინის მიმართ და ეს პროტესტი გაგრძელდება მანამ, სანამ ხელისუფლება არ შეიცვლება.

– გიორგი გახარიას თანაგუნდელ ნათია მეზვრიშვილს „ფეისბუქპოსტმა“ გაგაცხარათ და საკმაოდ მწვავე პოსტითვე უპასუხეთ. მან ვაშაძის ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე დაწერა...

– ამ დიდ გაერთიანებაში უამრავი ადამიანი და არაერთი პარტიაა. ეს გაერთიანება შეცვლის ხელისუფლებას და ყველა, ვინც ამ გაერთიანების დისკრედიტირებას ცდილობს სუს-ის „კაგებეშნიკური“ მეთოდებით სიბინძურეების მოგონებას, ჩათვალეთ, რომ მუშაობს „ქართული ოცნებისთვის“. დარწმუნებული ვარ, მის ამ პოსტს თავის პარტიაშიც არ იზიარებენ და ქალბატონ ნათიას ვურჩევ, გადახედოს თავის წარსულს. სულ ერთი წელია, რაც „ქართული ოცნება“ დატოვა. ძალიან კარგად გვახსოვს 20 ივნისიც და მისი პოზიციაც იმ პერიოდში. არ გვინდა ამ რაღაცების გახსენება და რატომ გვაიძულებს, რომ გავახსენოთ, ვერ ვიგებ.

ვფიქრობ, ერთადერთს იმას ცდილობს, რომ ვაშაძის ლანძღვით, თავი დაიმკვიდროს და ტელევიზიებში დაუძახონ ამის გამო. სხვა ლოგიკურ ახსნას ვერ ვხედავ.

– რა გამოდის, გახარიას პარტია თქვენ გადანაშაულებთ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში, თქვენ – პირიქით, მათ ადანაშაულებთ... რატომ ვერ ახერხებს ოპოზიცია საერთო წერტილის მონახავას დიდი გაერთიანებისთვის?

– გახარიას პარტიის პოზიცია არ ვიცი, ეს ამ ქალბატონის პოზიციაა, რომელიც პირველად არ დაუფიქსირებია. ეს აბსურდული ბრალდებები მანამდეც გაუჟღერებია, გახარიასა და მისი სხვა პარტიელებისგან კი მსგავსი რამ არასდროს მსმენია. უბრალოდ, სირცხვილია, ასე რომ ცდილობს ადამიანი პოლიტიკაში თავის დამკვიდრებას. ერთადერთი რამ მაინტერესებს, დღეს ვინ რას აკეთებს ხელისუფლების შესაცვლელად, რადგან დღეს ყველამ უნდა გავაკეთოთ რამე ამ მიზნის მისაღწევად.

ერის სახელით მოლაპარაკე ნათიები, გირჩები და აღმაშენებლები

ნინო დოლიძე

ამასაც მოვესწარით – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის შემდეგ, ქვეყანაში ისევ ეროვნული მოძრაობა იწყება. მართალია, ამ ახალი ეროვნული მოძრაობის მასშტაბი, ამ ეტაპზე, ისეთი არ არის, როგორი მასშტაბიც ნამდვილ ეროვნულ მოძრაობას ჰქონდა, მაგრამ „დროა“, „გირჩი – მეტი თავისუფლება“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“ დარწმუნებულია, რომ მათი აქტიურობა ქვეყანას შეაზანზარებს და 24 თებერვლის აქციაზე ზღვა ხალხი მივა. ნათქვამია, ნეტარ არიან მორწმუნენიო, ჰოდა, ლაკამ, ზურამ და ჭიჭემაც იოცნებონ – ოცნებას ვერავინ დაუშლით, მაგრამ აი, მხოლოდ პოლიტიკური დემონები თუ მიხვდებიან, რას ემსახურება 24 თებერვლის აქცია?!

24 თებერვლის აქცია – მკვდარზე „ვენოკი“

სხვათა შორის, 23-ის მნიშვნელობა მხოლოდ მე კი არა, ბევრმა პოლიტექსპერტმაც ვერ გაიგო. აი, მაგალითად, ანალიტიკოსი **გოჩა მირცხულავა** სოცქსელში წერს:

„თებერვლის ბოლოსკენ ცუდი ამინდები იცის – წყლიანი თოვლი (ჭყაპი), ისე, თაკარა მზეც მახსოვს მაგ დროს. და ეს 24 თებერვლის აქცია რა არის?

უკრაინის სოლიდარობის?

ვისგან სოლიდარობის?

ვის რაში სჭირდება თავად საჯიკებლის სოლიდარობა... უკრაინისთვის კი არ არის ეს აქცია, დათვალიერებაა, „ქასთინგია“, რომ შეგამჩნიონ, გაგიხსენონ, გამომზეურდეთ – მაინც გაზაფხული მოდის და ახალი პოლიტიკური წელი დაიწყოთ...

რად უნდა აქციას ერთი თვით ადრე დაანონსება? მხოლოდ იმისთვის, რომ ბეეევრი მოვიდეთ და ორგანიზატორებმა – ვა, რა მაგრები ვართო, იძახოთ.

რას იტყვით, რომ რუსეთი ოკუპანტი და აგრესორია?

და საერთოდ, უსიტყვოდ და უმიკროფონოდ რომ მივიდეს, ვისაც ამის სურვილი აქვს, უკრაინის საელჩოსთან და დადოს გარეთ ყვავილები, უკეთესი არ არის?

24 თებერვლამდე არ იცოდით, რუსეთი ვინ იყო?

ისე, მეორე დღეს 25 თებერვალია...

ჰო, მაგ დღეს პოსტები იქნება უხვად – „შემოდიოდა სიკვდილი ცელით“...

აქციაო, კაცო....

სამზარეულო და ბუდუარდაულაგებელი, სხვისი „ზალის“ დალაგებას რომ დაიწყებს, ეგეთია ეგ ანონსიც და აქცია ხომ იქნება და იქნება...

სახელმწიფო ინტერესი იქნებოდა სხვა რამ...

მაგრამ, რა იცით თქვენ, სახელმწიფო, პოლიტ(ინდ) მეწარმეებმა...

უკრაინას კიდევ სხვა მხარდაჭერა უნდა და სჭირდება, რუსეთს კიდევ – სხვა შეძახილი... აქცია – მკვდარზე ვენოკი“...

ჰო, მართალია ანალიტიკოსი – ქართველებს „მკვდარზე ვენოკები“ გვიყვარს. აბა, ასე რომ არ იყოს, ზემოხენებული სამი პარტია ეროვნულ მოძრაობას დაიწყებდა? ან ეროვნულ მოძრაობას ბრიფინგები კი არა, ქმედება სჭირდება. თქვე მამაცხონებულებო, თქვენ თუ არ მოსწრებიხართ, ისტორიაში მაინც არ წაგიკითხავთ, რომ მერაბი, ზვიადი და ნამდვილი ეროვნული მოძრაობის ლიდერები კამერების წინ არ კეკლუცობდნენ, არამედ, საქმეს აკეთებდნენ?!

ახლა, გამოხვალთ და პირში ბურთს ჩამჩრით, მაშინ ამდენი ტელევიზია არ იყო და მერაბიც და ზვიადიც იძულებულები იყვნენ, იატაკქვეშ ემოქმედათ, თანაც მაშინ საბჭოთა ტოტალიტარიზმი მძვინვარებდაო.

აი, ხომ თქვით თქვენი პირით – ეროვნულ მოძრაობას მაშინ აქვს აზრი, როცა ერი უცხო დამპყრობლის უღელქვეშაა. გასაგებია, რომ საქართველოს ტერიტორიები დროებით ოკუპირებულია და ხელისუფლებასაც ბრალს ჩრდილოეთისადმი ლოიალობაში სდებთ, მაგრამ ეს იმის საფუძელია, რომ ეროვნული მოძრაობა დაიწყოთ, ან ეროვნულ მოძრაობაზე პრივატიზება თქვენ გაქვთ გაკეთებული, ქალბატონებო და ბატონებო?!

ეროვნული, ხომ იმას ნიშნას, რომ მთელ ერს მოიცავდეს. მოიცავს კი თქვენი მოძრაობა მთელ ერს?

ეს, იცით, რას ჰგავს? – აი, ვინმე ნათია ბერიძე ლევან ბერძენიშვილს თავს „მთელი ერის“ სახელით რომ დაესხა.

ერში მეც შევდივარ, ჩემი მეზობელი ვალერიანიც და ჩემი დის დედამთილი ვენერაც, მაგრამ არც მე, არც ვალერიანს და, მით უმეტეს, ვენერას სურვილი არ გვქონია, ვინმე ნათიას ბატონო ლევანისთვის ქუჩაში ეგინებინა. ჩვენ არც იმის სურვილი გვაქვს, სამი პარტიის ეროვნულ მოძრაობას შევუერთდეთ.

ჰოდა, ერთი, გამაგებინეთ, ნათიები, გირჩები და სხვები... ჩვენი, ერის თითოეული წარმომადგენლის სახელით რატომ ლაპარაკობთ, ან ამის უფლება როდის მოგეცით?!

სამართალი

№2 25 იანვარი 2023 წ

ვინ არის სერიული მკვლელი „მიშა-ღიმილი“, რომელმაც 88 ქალი მოკლა და სიკვდილით დასჯა ორჯერ მიუსაჯეს

მოკისმომგვრელი კრიმინალური ისტორიის „ვაგნერული“ გაგრძელება

ბათო ჯაფარიძე

რუსეთ-უკრაინის ომს დასასრული არ უჩანს. მეტიც, მალე წელიწადი გავა, რაც რუსეთი უკრაინის ტერიტორიაზე შეიჭრა, ასეულობით ბავშვი და ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე დახოცა და იმის მიუხედავად, რომ თითქოს უკრაინას მთელი ცივილიზებული მსოფლიო ეხმარება, ეს ჯოჯოხეთი არ მთავრდება. ისტორიას, რომელსაც ახლა მოგითხრობთ, იმდენად შემზარავი ფინალი აქვს, რასაც ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოიდგენთ... და ეს ხდება დღეს, ახლა, ჩვენს რეალობაში...

1994 წელს, რუსეთის ქალაქ ანგარსკში მკვლელობა მოხდა. მოკლული ახალგაზრდა ქალი გახლდათ, რომელიც ჯერ გააუპატიურეს, მერე მოკლეს. იმის გამო, რომ ქალი ნასვამი იყო, სამართალდამცავები საქმეს ზერელედ მოეკიდნენ, ჩათვალეს, რომ მეგობარმა მამაკაცმა დაახრჩო. მით უმეტეს, ქალი გაუთხოვარი გახლდათ. პირველ მკვლელობას მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე და ასე, 2000 წლამდე 29 ქალი გამოასალმეს სიცოცხლეს. 29 შემთხვევიდან 28-ში ქალები ნასვამები იყვნენ, მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო მსხვერპლი ფხიზელი და მასზე მკვლელს არ უძალადია. ყველა საქმე გააერთიანეს, ისიც თქვეს, რომ ქალაქში მანიაკი გამოჩნდა, მაგრამ ასეთი მასშტაბების მიუხედავად, რეალურად, არცერთი საქმე საფუძვლიანად არ იყო გამოძიებული. მეტიც, ბოლო რამდენიმე მსხვერპლის ექსპერტიზის შემდეგ დაიდო დასკვნა, რომ თავდამსხმელს სიფილისი სჭირდა და შესაბამისად, ეს დაავადება, ადრე თუ გვიან, იმპოტენციამდე მიიყვანდა ანუ ძალოვნებმა გადაწყვიტეს მოეცადათ, სანამ მკვლელი იმპოტენტი გახდებოდა, თუმცა არ მოიცალა მოსკოვმა და ანგარსკში განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი, ნიკოლაი კიტაევი მიავლინა. კიტაევი იმით იყო ცნობილი, რომ სერიული მკვლელი, ვასილი კულიკი დააპატიმრა (მასზე მომავალში აუცილებლად გიამბობთ).

„როცა ანგარსკში ჩავედი და საქმეებს გავეცანი, გავოგნდი. 29 მკვლელობის მიუხედავად, მთლიანობაში, დაკითხული იყო ორი მოწმე ანუ სამართალდამცავები არათუ არაფერს აკეთებდნენ, უბრალოდ, ფეხებზე ეკიდათ ყველა საქმე. გარდაცვლილთა აბსოლუტური უმრავლესობა 18-დან 30 წლამდე იყო, ერთი გოგონა 15 წლის გახლდათ და მხოლოდ ოთხი იყო 30-დან 40 წლამდე. ერთადერთი, რაც მათ აერთიანებდათ, წონა იყო – თითოეული მათგანი პუტკუნა გახლდათ“, – იტყვის შემდგომში კიტაევი.

ერთ წელიწადში, გამომძიებელმა უზარმაზარი სამუშაო გასწია, პირადად დაკითხა ორი ათასზე მეტი მოწმე და მეტიც, ერთ-ერთი მოწმის ჩვენების შედეგად, ფოტორობოტი შეადგინა, რომელიც ვინმე მიხაილ პოპკოვის აღწერილობას დაემთხვა. პოპკოვი ანგარსკის მკვიდრი იყო და პოლიციაში მუშაობის გამოცდილებაც ჰქონდა. ის დააპატიმრეს და სანამ დაჰკითხავდნენ... კიტაევი სამსახურიდან გაათავისუფლეს. რუსულ ძალოვან უწყებაში წმენდა დაიწყო, ძველი თანამშრომლები შინ გაუშვეს, ახლები მიიღეს და ამ რეორგანიზაციას კიტაევიც შეეწირა. მის მიერ ჩატარებულ სამუშაოს არგანსკელმა მაძებრებმა ვერაფერი გაუგეს და დაკავებული პოპკოვი, ბოდიშის მოხდით, პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

მკვლელობები შეწყდა და მოსახლეობამაც ამოისუნთქა. ყველას მიავიწყდა „ანგარსკელი მანიაკის“ არსებობა და მერე რა, თუკი მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ ის ვიღაც დაუსჯელი დადიოდა. დაუსჯელი დადიოდა ადამიანი, რომელმაც 29 ქალი გამოასალმა სიცოცხლეს, რაც დაახლოებით, 250-ათასიანი ქალაქისთვის ცოტა ნამდვილად არ იყო, თანაც მკვლელობაცაა და მკვლელობაც – მანიაკი მსხვერპლს დაუნდობლად იმეტებდა, თუ ნაჯახით კლავდა, მას ათჯერ მაინც ურტყამდა თავსა და გულ-მკერდის არეში, თუ „ატვიორტკით“ – მაშინ ნაჩხვლეტების რაოდენობა 80-ს სცდებოდა, თუ დანით – 40-მდე ჭრილობას სჯერდებოდა.

ყველასთვის მოულოდნელად, „ანგარსკელი მანიაკის“ საქმე თაროდან 2012 წელს ჩამოიღეს და ძიება ახლიდან დაიწყო. კონსულტაცია გაიარეს კიტაევთან და მან ისევ პოპკოვი ახსენა, ერთადერთი ეჭვმიტანილი, რომელიც დააკავა და რომელიც გაათავისუფლეს. პოპკოვი ისევ დააკავეს, სისხლის ანალიზი აუღეს, სრული ექსპერტიზა ჩაატარეს და დასკვნაც დადეს – მკვლელი სწორედ მიხაილ პოპკოვია.

და მაინც, ვინ არის პოპკოვი? ის 1964 წლის მარტში, ნორილსკში დაიბადა, შემდეგ საცხოვრებლად ანგარსკში გადავიდა და მუშაობა მილიციის განყოფილებაში დაიწყო. საუცხოო ხასიათისა და ყველასთან მეგობრული დამოკიდებულობის გამო, მას მილიციაში „მიშა-ღიმილს“ ეძახდნენ. 1994 წელს, სწორედ მაშინ, როცა პოპკოვი სამსახურში დაწინაურდა და უმცროსი ლეიტენანტის წოდებაც დაიმსახურა, მუშაობაზე უარი თქვა და დაცვის კერძო სამსახურში გადავიდა, საიდანაც ერთ წელიწადში წავიდა და ანგარსკის სასაფლაოზე მესაფლავედ მოეწყო. ასე მიივიწყეს ოპერმუშაკი პოპკოვი, თუმცა უნდა ითქვას, ახალ სამსახურშიც ნამუსიანად შრომობდა, თუმცა მისი ძველი ნაცნობები ამბობდნენ, ხასიათი გაუფუჭდაო, რასაც მძიმე სამუშაოს აბრალებდნენ. მას ცოლიც ჰყავდა, რომელიც ქმარზე აუგს არ ამბობდა და უცებ, მეხის გავარდნას ჰგავდა, რომ „ანგარსკელი მანიაკი“, სწორედ პოპკოვი აღმოჩნდა.

„არ ვიცი, რა დამემართა, ყველაფერ ამისგან სიამოვნებას ვიღებდი, თუმცა შემდეგ, ერთ-ერთმა ქალმა სიფილისი ამკიდა და ყველაფერი იმპოტენციით დასრულდა. სწორედ ამის გამო შევეშვი მკვლელობებს – გაუპატიურება აღარ შემეძლო. რაც შეეხება ჩვენს მილიციას, ისინი ნამდვილი იდიოტები არიან. ერთ-ერთი მკვლელობის შემდეგ, გაქცევაც ვერ მოვასწარი, როცა სამართალდამცავები მოვიდნენ, დამინახეს, მიცნეს, მომესალმნენ, მეც ვუთხარი, ძველი ინსტიქტები გამეღვიძა, ეგებ, რამეში დაგეხმაროთ-მეთქი და მათ გვერდით, დაახლოებით, ორი საათი ვტრიალებდი. აზრად არავის მოსვლია, შევემოწმებინე და არც ის უკითხავს ვინმეს, ხელზე სისხლი საიდან მქონდა“, – იხსენებდა პოპკოვი.

ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ სერიულ მკვლელს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა ისე ჩანს, პოპკოვს რუსული მილიციისა და უკვე პოლიციად გადაკეთებული ორგანოს საბოლოოდ გათახსირება მოუნდა და 2018 წელს, უკვე პატიმარმა პოპკოვმა რუსეთის სხვადასხვა ქალაქში ჩადენილი კიდევ 59 (!!!) მკვლელობა აღიარა. გამოძიება ახლიდან დაიწყო და მას 56 შემთხვევა დაუმტკიცდა, სამ შემთხვევაში კი მკვლელობის დეტალები ვერ გაიხსენა და ამიტომ, აღიარება არ მიიღეს. სასამართლო ახლიდან გაიმართა და პოპკოვს მეორედ მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა, თუმცა მანიაკი ამით არ დაკმაყოფილდა და განაჩენი გაასაჩივრა, აქაოდა, რამდენიმე მკვლელობას ხანდაზმულობის ვადა ჰქონდა გასული და რატომ მითვლითო. სასამართლო ამ შემთხვევებზეც გაიმართა, თუმცა განაჩენი ძალაში დარჩა და პოპკოვი „შავი დელფინიდან“ (სადაც სასჯელს იხდიდა) „ტორბეევსკი ცენტრალში“ გადაიყვანეს.

„გამიმართლა, რომ მორდოვიაში, კერძოდ, „ტორბეევსკი ცენტრალში“ მოვხვდი. აქ კარგი კლიმატია, ნაკლებად ცივა, პირობებიც კარგია. სამუშაო გვაქვს, ტანსაცმელს ვკერავთ. სხვათა შორის, პანდემიის დროს, ნიღბებს ვკერავდით. ჩემი თანამესაკნეც კარგი ბიჭია, პრაქტიკულად, ერთნაირი დანაშაულისთვის ვიხდით სასჯელს. თუ მომწყინდება, მორიგ ისტორიას მოვყვები. ბევრს ჰგონია, რომ მოსაყოლი აღარ მაქვს, მაგრამ მერწმუნეთ, მაქვს და როცა საჭიროდ ჩავთვლი, მაშინ ამოვიღებ ხმას. აქ წასაკითხადაც ბევრი დრო მაქვს, ბავშვობაში ბევრს არ ვკითხულობდი, მაგრამ ახლა ვახერხებ დანაკარგის აღდგენას და მიხარია, ბევრ საინტერესოს ვიგებ. ძალიან მომწონს ნაპოლეონის ფრაზა: „ისტორია არის ზღაპარი, რომლის დაჯერებაზეც ადამიანები შეთანხმდნენ იმიტომ, რომ ისტორიას გამარჯვებულები წერენ“. მე ასევე მიყვარს ედვარდ რაძინსკის სიტყვები: „მთავარი გაკვეთილი, რომელსაც ისტორია გვასწავლის, არის ის, რომ არ არის საჭირო რამე გაკვეთილის ისტორიიდან სწავლა“, -ეს სიტყვები რუს ჟურნალისტს პოპკოვმა 2021 წელს უთხრა. ახლა კი...

მიმდინარე წლის 20 იანვარს, ბრიტანეთის დაზვერვამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, უკრაინის ტერიტორიაზე, ბატალიონ „ვაგნერის“ 50 ათასზე მეტი მებრძოლი იმყოფება. მოგეხსენებათ, ეს დაჯგუფება „პუტინის მზარეულად“ წოდებულმა, ევგენი პრიგოჟინმა შექმნა და მასში მხოლოდ პატიმრები ირიცხებიან ანუ დამნაშავეები, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ და რომლებიც უკრაინასთან საომრად საკუთარი ნებით წავიდნენ. მათ კონტრაქტში ჩაუწერეს, რომ ექვსთვიანი სამსახურის შემდეგ, ყველა დანაშაული ეპატიებოდათ და პირველ ნაკადს ვადა მიმდინარე წლის 5 იანვარს გაუვიდა ანუ ისინი, უბრალოდ, გაათავისუფლეს. შევსება „ვაგნერმა“ მალე მიიღო და ახლა უფრო მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულების ჯერი დადგა.

ჰოდა, მიხაილ პოპკოვმა ხელისუფლებას განცხადებით მიმართა, ჩემზე გამოცდილი მკვლელი ვინ გინდათ, „ვაგნერში“ ჩამრიცხეთ, თანახმა ვარ, ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმო, ოღონდ მერე გამიშვითო. იმის მიუხედავად, რომ პოპკოვმა თანხმობა მიიღო (!!!), მან ფრონტზე წასვლაზე ჯერჯერობით უარი განაცხადა, აქაოდა, სიცივე არ მიყვარს, ახლა ზამთარია და საქმეში მარტიდან ჩავერთვებიო. ვისი ხელით და რა მეთოდებით იბრძვის რუსეთი უკრაინაში, თავად განსაჯეთ.

ღორის ძვალი – მკვლელობის მთავარი სამხილი

რა მოხდა ბიზნესმენის აგარაკზე და რატომ ფიგურირებს საქმეში დამლაგებელი

ბათო ჯაფარიძე

პირადი მცველები, სახლების დაცვა, სათვალთვალო კამერები – ახლა, ყველაფერი ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ იყო დრო, როცა დაცვა მინისტრებსაც კი არ ჰყავდათ, არც მათი სახლი კონტროლდებოდა ვიდეოთვალებით და არც ესკორტი დაჰყვებოდათ. მერე და მერე, არა მხოლოდ თანამდებობის პირებისთვის, არამედ, ნებისმიერი იმ ადამიანისთვის, ვისაც ამის შესაძლებლობა და სურვილი ჰქონდა, დაცვის აყვანა პრობლემა აღარ იყო და მით უმეტეს ახლა, როცა დაცვის არაერთი სამსახურია. მდიდარი ადამიანები მსოფლიოს მასშტაბით იცავენ საკუთარ თავს, ოჯახის წევრებს, ქონებას და ყველაფერი ეს არცთუ მცირე თანხა უჯდებათ. შეზღუდვების მიუხედავად, ადრე საქმოსნები მაინც ახერხებდნენ პირადი დაცვა თუ არ ეყოლებოდათ, მათი სახლის ტერიტორიაზე შემთხვევითი ადამიანები არ მოხვედრილიყვნენ. ამისათვის, საუკეთესო გამოსავალი საკუთარი სახლი იყო – მაღალი გალავნით, რკინის მასიური ჭიშკრით, ავი ძაღლებით და რაც მთავარია, ე.წ. კარისკაცით, რომელსაც, რეალურად, დაცვის ფუნქცია ჰქონდა. ეს კარისკაცი საქმოსნის საწარმოში დარაჯად ან რიგით მუშად იყო გაფორმებული, მცირე ხელფასს იღებდა, მთავარი შემოსავალი კი ის იყო, რასაც „ხაზეინი“ ხელზე უხდიდა. ამ ადამიანებს ჰყავდათ შინამოსამსახურეები, ფუფუნებაში ცხოვრობდნენ და ცდილობდნენ, მათი ქონება თვალს მოფარებული ყოფილიყო. რაღა თქმა უნდა, მათ ყოველთვიურად მიჰქონდათ ქრთამი „ზემოთ“, რათა ჩინოვნიკებს „ფხიზელი თვალი“ დაეხუჭათ.

„ჩვენთან ერთ-ერთი ქალბატონი მოვიდა და გვითხრა, დახმარება მჭირდება, მოკვლას მიპირებენო. ასეთი განცხადება მაშინ მეხის გავარდნას ჰგავდა, ამიტომ ქალი დავამშვიდეთ და ყურადღებით მოვუსმინეთ. მისი თქმით, ის მარტოხელა გახლდათ, წლების განმავლობაში, შვილს მარტო ზრდიდა, დღე და ღამ მუშაობდა და სამიოდე თვის წინ, ბედმა გაუღიმა – ერთ-ერთი ჩინოვნიკის სახლში დამლაგებლად მოეწყო. დილით, სანამ სამსახურში წავიდოდა, იქ მიდიოდა და სახლს ალაგებდა, შემდეგ, ასევე დამლაგებლად, ერთ-ერთ ბაზარში გარბოდა, საღამოს სახლში ბრუნდებოდა და შემოსავალიც საკმაოდ გაეზარდა. ქალის თქმით, დილით მაღალჩინოსნის სახლში მხოლოდ კარისკაცი ხვდებოდა, რომელიც ჭიშკარს მას შემდეგ უღებდა, რაც რკინის ჭიშკრის ჭუჭრუტანაში გამოიხედებოდა. ჰოდა, რამდენიმე დღის წინ, ქალს შინ უცხო მამაკაცი ეწვია, კარგად ჩაცმული, მაგრამ აგრესიული. მან უთხრა, რომ იმ სახლიდან რაღაც უნდა გამოეტანა და სანაცვლოდ, 5 ათას მანეთს მიიღებდა. ის რაღაც კი – არც მეტი, არც ნაკლები – სახლის სარდაფში მდგარი მაცივრის საყინულეში შენახული... ძვლის ნატეხი იყო. ჰო, ძვლის ნატეხი. ქალმა საკუთარი თვალით ნახა, რომ საყინულეში მართლაც ინახებოდა ძვლის ნატეხი და მისი აზრით, ის ღორის ან ცხვრის ბარძაყის ნაწილი უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მამაკაცი ქალს შვილის მოკვლით ემუქრებოდა, მოსაფიქრებლად კი სამ დღეს აძლევდა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

საქმე გავლენიან საქმოსანს ეხებოდა, ამიტომ განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანეს და დამლაგებლის სახლთან მორიგეობა დაიწყეს. მისი თქმით, ძვლის წასაღებად მამაკაცი სამი დღის შემდეგ უნდა მისულიყო და თვალთვალი არა მარტო სახლზე დაწესდა, არამედ, დამლაგებელს სახლიდან სამსახურებამდე სამი ოპერმუშაკი მიაცილებდა. სამი დღე გავიდა და მამაკაციც გამოჩნდა. მისმა დანახვამ ოპერჯგუფის ხელმძღვანელი გააოცა – ისიც ცნობილი საქმოსანი გახლდათ და რაც მთავარია, იმ კაცის უახლოეს მეგობრად ითვლებოდა, სადაც ქალი დამლაგებლად მუშაობდა. აყვანის სპეცოპერაცია წამებში დასრულდა – კაცმა გაქცევა კი სცადა, მაგრამ ადგილზე შს სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი იყო მობილიზებული (ყოველი შემთხვევისთვის) და გამოცდილმა მებრძოლებმა ეჭვმიტანილის დაკავება მარტივად მოახერხეს. განყოფილებაში მიიყვანეს მეორე საქმოსანიც და რაც მთავარია, ადგილზე მიიტანეს ძვალიც, რომელიც ექსპერტიზაზე გააქანეს. ორივე დაკავებულმა სიცილი დაიწყო, უბრალოდ, ვხუმრობდით, გვაინტერესებდა, დამლაგებელი რამდენად ერთგული იყო, თორემ რა ძვალი, რის ძვალი, ჩვეულებრივი ღორის ბარკლის ნაწილიაო. ექსპერტმა შეუიარაღებელი თვალითაც თქვა, ძვალი ადამიანის ნამდვილად არ გახლავთ, უფრო ღორის უნდა იყოსო, მაგრამ ექსპერტიზა მაინც ჩატარდა და დადასტურდა – ძვალი ღორის იყო, წამახვილებულ მხარეს არსებული სისხლი – ადამიანის.

„ცხადი გახდა, ეს ძვალი საიდუმლოს ინახავდა და საიდუმლო ორივე საქმოსანს ეხებოდა. როცა მათ ექსპერტიზის შედეგები გავაცანით, მხრები აიჩეჩეს, რა სისხლი, ქუჩაში ნაპოვნი ძვალია, რა ვიცით, ვისი სისხლი აცხიაო, თუმცა ექსპერტმა ისიც თქვა, საუკეთესო შემთხვევაში, ეს ძვალი 2-3 წლისაა და მთელი ამ დროის განმავლობაში, საყინულეში ინახებოდაო. გამოდიოდა, რომ ეს უბრალო ძვალი კი არა, კონკრეტული დანაშაულის სამხილი გახლდათ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გამომძიებლები ძველ საქმეებს ჩაუსხდნენ და მარტივად იპოვეს საქმე, რომელიც სამიოდე წლის წინ მომხდარ უბედურ შემთხვევას ეხებოდა. მაშინ, ორი დაკავებული და მათი ერთი მეგობარი სანადიროდ იმყოფებოდნენ. სამონადირეო სახლი სწორედ იმ მესამის კუთვნილება იყო და უბედური შემთხვევაც იქ მოხდა. როცა ნადირის საძებნელად სამივე ტყეში გაიფანტა, მალე მეპატრონე ყვირილით გამოვარდა, საძილე არტერიასთან ხელს იკიდებდა და ბოლო ხმაზე ყვიროდა. სისხლი შადრევანივით ასხამდა და მეგობრებმა ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრეს. ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ტყე საგულდაგულოდ მოჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს, თუმცა ნახეს გარეული ტახის კვალი და ჩათვალეს, რომ ტახმა ეშვით მამაკაცს საძილე არტერია გაუგლიჯა და გაიქცა. საქმე „ფულიან ბიძებს“ ეხებოდათ და მალე ჩაიფარცხა. ექსპერტიზას სამი დღე დასჭირდა სისხლის ჯგუფის დასადგენად და როგორც იქნა, გაირკვა, რომ ის გარდაცვლილისას ემთხვეოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სამი წლის წინ, მამაკაცი უბედურ შემთხვევას კი არ ემსხვერპლა, მოკლეს. გამოძიების ვერსიით, მკვლელი ის საქმოსანი იყო, რომელიც ძვლის მოპარვას ცდილობდა, მეორე კი, უბრალოდ, აშანტაჟებდა. მოგეხსენებათ, მკვლელობის აღიარება რთულია, შანტაჟის – უფრო მარტივი, მით უმეტეს, როცა დიდი ფული გაქვს და გავლენიან სანაცნობოსაც არ უჩივი. ამიტომ, სამართალდამცავებმა იმ საქმოსნის დაკითხვა გადაწყვიტეს, რომელთანაც ძვალი ინახებოდა. მან აღიარებითი ჩვენება მანამ არ მისცა, სანამ გარანტია არ მისცეს, რომ ციხეში არ ჩასვამდნენ და მართალია, ძველ თანამდებობას ვეღარ შეინარჩუნებდა, უსამსახუროდ მაინც არ დარჩებოდა და არც პურის ფული გაუჭირდებოდა.

„ჩვენ მართლა სანადიროდ წავედით და ვინმეს მოკვლა დაგეგმილი არავის ჰქონდა. მასპინძლის სახლში ერთი დღე ვიქეიფეთ, საღამოს კი, როცა მასპინძელი წავიდა, პური შემოგვაკლდა. მისი სახლის დათვალიერება დავიწყეთ და სრულიად შემთხვევით, კარადის უჯრა გამოვაღეთ. უჯრაში კონვერტი იდო, კონვერტში – სურათები. ამოვიღეთ, დათვალიერება დავიწყეთ და გავშრით – რამდენიმე ფოტოზე ჩემი მეგობრის ცოლი, პრაქტიკულად, შიშველი იყო. ინტერიერით მივხვდით, რომ ამ სახლში იყო გადაღებული ანუ გამოდიოდა, რომ სახლის მასპინძელი მეგობრის ცოლს ჰყვარობდა. ეს უბედური შოკში ჩავარდა, ჯერ ღრიალი დაიწყო, მერე ყვირილი, ბოლოს კი თქვა, უნდა მოვკლაო. მე ვუთხარი, ახლა მოკვლა არ გამოვა, ტყეში, ვითომ შემთხვევით მოკალი-მეთქი და კარგიო, დამთანხმდა. მისი ტყვიებიდან ჟაკნები ამოვიღე და მარტო წამალი დავტოვე, ვიფიქრე, რომ გაისვრის, რისხვა გადაუვლის-მეთქი. ტყისკენ წავედით, სახლის პატრონი წინ მიდიოდა, გზას გვიჩვენებდა, მერე ეს რქებდადგმული მიჰყვებოდა, ბოლოს კი მე. მოულოდნელად, ამან საიდანღაც ძვალი ამოიღო და პირდაპირ საძილე არტერიაში ჩაარჭო. სახლის პატრონმა უაზროდ დაიწყო სირბილი, ძვალი გამოაგდო, მაგრამ სისხლი ვერ გავაჩერეთ და მოკვდა. ლეგენდაც იქვე მოვიფიქრეთ, ძვლის დამარხვა კი მე ვითავე, მოშორებით წავიღებ, რომ არ იპოვონ-მეთქი. ჰოდა, დამარხვის ნაცვლად, შევინახე, მთელი ის დრო ჯიბეში მედო, მაგრამ არავის გავუჩხრეკივარ, ვიცოდი, არ მაკადრებდნენ. რატომ გამახსენდა ახლა ყველაფერი ეს? იმიტომ, რომ ამ ძუნწმა ჩემი ადგილი მოინდომა, ზემოთ მითხრეს, ჩალიჩობსო. მეც ძვალს ფოტო გადავუღე და გავუგზავნე, ვუთხარი, ერთ ადგილს თუ არ დააყენებ, ამ ძვალს მილიცია მიიღებს-მეთქი. გაჩერდა, მაგრამ მე გაბრაზებული ვიყავი და 10 ათასი მანეთი გამოვართვი სიჩუმის სანაცვლოდ. მარტივად გადაიხადა და მერე კიდევ ათი, მერე კიდევ... როგორც ჩანს, სურათზე ჩემი სარდაფი იცნო და მიხვდა, ძვალი სადაც მქონდა, ამიტომ დამლაგებლის ხელით, მისი მოპარვა გადაწყვიტა“, – დაასრულა მოყოლა დაკავებულმა.

მკვლელმა ყველაფერი აღიარა, თუმცა იმდენი მოახერხა, რომ სასამართლოზე ნაწილობრივი აფექტი დაუდგინეს და სასჯელის ზომად მხოლოდ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა აკმარეს. რა თქმა უნდა, კომუნისტების დროს, არცერთ მათგანს მაღალ თანამდებობაზე აღარ უმუშავია, მაგრამ... კომუნისტების დროს და არა შემდგომ...

ბათო ჯაფარიძე

სამსახურებრივი მანქანებით გადაადგილება ახალი ხილი არ არის. მას შემდეგ, რაც ავტომობილმა ფართო მოხმარება ჰპოვა, სამსახურის მანქანა ჩვეულებრივ ცნებად იქცა და თუ ადრე მისით მხოლოდ ძალიან მაღალი თანამდებობის პირები სარგებლობდნენ, მერე უფრო დაბალჩინოსნებსაც ერგოთ, ახლა კი, საჯარო სამსახურებში ლამის განყოფილების უფროსების მოადგილეებსაც სამსახურის ავტომობილები ჰყავთ. წესითა და რიგით, დღევანდელი კანონითაც კი, უქმე დღეებში სამსახურებრივი მანქანა ავტოფარეხში უნდა იდგეს, შვებულების დროს არავინ გამოიყენოს, მხოლოდ სამსახურის საქმეებზე უნდა იაროთ, რაც არც ადრე სრულდებოდა და არც – ახლა. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, სწორედ ასეთი სამსახურებრივი მანქანით დაიწყო და... მკვლელობის გახსნით დასრულდა. არადა, ყველაფერი იმდენად მარტივად ჩანდა, სამართალდამცავებს ეჭვიც არ ჰქონიათ, რომ მძიმე დანაშაულს გახსნიდნენ, თუმცა...

„მანქანით გადავუარე რამდენჯერმე, მერე გვამი ფოთისკენ წავიღე და ჭაობში მოვისროლე“

თანამდებობის პირმა საყვარლის ქმარი მოკლა

თბილისის ერთ-ერთი რაიონის მილიციის განყოფილების უფროსი უქმეებზე სამსახურის მანქანით თბილისის ზღვაზე ავიდა, ცოლ-შვილი გაასეირნა და როცა უკან დაბრუნდა, მანქანას წინა ფრთაზე ისე ჰქონდა გასმული, გვერდითა ციმციმა ჩამტვრეული იყო, ხოლო თუნუქი – შეჭყლეტილი. უფროსს გულზე შემოეყარა, ასეთ მდგომარეობაში ავტოფარეხში მანქანას ვერ მიიყვანდა, ხელოსანი ერთ დღეში გასწორება-შეღებვას ვერ მოასწრებდა, ელემენტარულად, საღებავი არ გაშრებოდა. ამიტომ, თანამშრომლებს დაუძახა და უთხრა, ეგებ, იპოვოთ, ვინ გამისვა, მანქანაზე ლურჯი ფერის საღებავია შერჩენილი, როგორ დავიჯერო, თბილისში ბევრი ლურჯი მანქანა დადისო, თანაც შემთხვევითი მოწმეც გამოჩნდა, რომელმაც თქვა, ზუსტად დავინახე, იმ ლურჯი მანქანის საჭესთან ქალი იჯდაო. ქალი საჭესთან მაშინ ისეთივე იშვიათობა იყო, როგორც ხარიხსიანი ტანსაცმელი მაღაზიაში, ამიტომ ძალოვნები საქმეს შეუდგნენ და საღამოს ქალიცა და მანქანაც განყოფილების ეზოში, გვერდი-გვერდ იდგნენ.

„თქვენ ხომ არ გაგიჟდით? მე უნდა შემეყარა ქვეყანა, ზღვაზე ვიყავი და შინ რომ დავბრუნდი, ეს გასმული მაშინ ვნახე. თქვენ გამისვით და არა – მე, მე ტარება ვიცი, სავარაუდოდ, თქვენ აზრზე არ ხართ მართვის და საჭესთანაც სამსახურისა და თანამდებობის გამო ზიხართ. მძღოლი აიყვანეთ, ბატონო, მძღოლი და ის გატარებთ. ახლა კი, ძალიან მაინტერესებს, ზიანს ვინ ამინაზღაურებს“, – ისე გაწიწმატებული იყო ქალი, გამოცდილი ოპერმუშაკებიც ვერ აკავებდნენ.

განყოფილების უფროსი გაოცდა. გამოცდილი მაძებარი იყო და აშკარად ხვდებოდა, რომ ქალი გულწრფელად საუბრობდა, მაგრამ თავად დარწმუნებული იყო, რომ არავისთვის დაურტყამს. ერთი კი გაახსენდა, 15 წლის შვილი გაგზავნა სიგარეტისთვის მანქანაში და ის ცოტა დამფრთხალი დაბრუნდა, მაგრამ მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ახლა კი... განყოფილების უფროსმა ქალი კაბინეტში შეაცილა, ნახევარი საათით დამელოდეო და სახლში გავარდა. როცა შვილს თვალებში ჩახედა, კითხვაც არ დაუსვამს, ისე უთხრა ბავშვმა, მანქანის უკან, ერთ მეტრზე დაწევა და მერე წინ წაყვანა მინდოდა და რომ ვწევდი, გვერდით მანქანას გავუსვი, შემეშინდა და ვერაფერი გითხარიო. განყოფილების უფროსი სიმწრისგან კინაღამ გალურჯდა, მაგრამ რაღას იზამდა, სახლიდან დარეკა, „გარაჟის“ უფროსიც დაიბარა და ხელოსანიც. შემდეგ, ქალბატონს ათასი ბოდიში მოუხადა, სთხოვა, ეგებ, ეს ამბავი არ გაახმაუროო და ავტოფარეხის უფროსს უთხრა, 3-4 დღე ყველაფერზე თვალი დახუჭეო, ხელოსანს კი ორივე მანქანის გასაღები მიაწოდა და ხელით სამი თითი დაანახა, ორივე მანქანა სამ დღეში მწყობრში უნდა იყოსო. ხელოსანმა თავი დაუქნია.

წესით, ამ ამბავს გაგრძელება არ უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ როცა ხელოსანმა ქალის მანქანას წინა ფრთა მოხსნა, რათა გაესწორებინა, დაინახა, რომ შიგნითა მხარე მუქი მასით იყო მოსვრილი, კარგად დააკვირდა, უფრო სქელ ადგილზე თითიც გაუსვა და მიხვდა, სისხლი იყო. მაშინვე განყოფილების უფროსს დაურეკა და მისვლა სთხოვა, თავის მხრივ, მან ექსპერტ-კრიმინალისტები გამოიძახა. ამის დაფარვა არ შეიძლებოდა და ექსპერტიზის პასუხმაც არ დააყოვნა – მანქანის ძირეულად დათვალიერების შემდეგ, არა მარტო სისხლის, არამედ, ადამიანის ტვინის ნაწილაკებიც იპოვეს ანუ ამ მანქანით ვიღაც გაიტანეს და შემდეგ ზედ გადაუარეს. სხვა გზა არ იყო – უფროსმა შს მინისტრის სახელზე პატაკიც დაწერა, საქმეც აღძრა და უფლებამოსილების შეჩერებაც ითხოვა, თუმცა ბოლო თხოვნის გარდა, ყველაფერი დაუკმაყოფილეს. საქმე აღიძრა და რაღა თქმა უნდა, დაკითხვაზე ქალი დაიბარეს.

„რა იყო? მანქანის გაკეთება გეძვირათ და ახლა მკვლელობის შეტენვით მაშინებთ? ჩემით გავაკეთებ მანქანას, დაწყნარდით, ამოისუნთქეთ. მეგონა, მილიციაში რაინდები მუშაობდნენ, თქვენ კი ჩვეულებრივი თაღლითები ყოფილხართ“, – გაწიწმატდა ქალი, მაგრამ როცა წინ ექსპერტიზის დასკვნები დაუდეს, გაოცებისგან პირი დააღო.

„ეს მანქანა ზუსტად ექვსი დღის წინ ვიყიდე. ფოთელი კაცი ყიდდა, იმისგან შევიძინე. ყიდვისთანავე გავრეცხე, მერე ფოთიდან თბილისში წამოვედი, ზღვაზე რაც მოხდა, მესამე გასვლა იყო ამ მანქანით და დამიჯერეთ, არავისთვის დამირტყამს და მით უმეტეს, არ გადამივლია. თანაც, ასეთ დროს, მანქანა ხომ მთლიანად დაიფშვნებოდა და ელემენტარულად, გაკეთებასაც ვერ მოვასწრებდი“, – ჩაფიქრებით თქვა ქალმა და მართალიც იყო – ასეთ მოკლე პერიოდში და იმ დროს, მანქანის მწყობრში მოყვანა სასწაულითაც კი შეუძლებელი იყო. სამართალდამცავები მაშინვე ფოთის განყოფილებას დაუკავშირდნენ და გაარკვიეს, რომ ავტომობილის მფლობელი... სამი დღის წინ გარდაცვლილი, საკუთარ სახლში ნახეს.

„ძალიან გაგვიკვირდა, როცა მანქანა იყიდა. ერთი უპატრონო მეთევზე იყო, გალოთებული, რასაც შოულობდა, სასმელში ხარჯავდა და სვამდა ყველაფერს, რასაც კი მოიხელთებდა. ექსპერტიზის დასკვნით, სწორედ სასმელისგან მოიწამლა და ძალადობის კვალი მის სხეულზე არ აღინიშნება. სახლში მანქანის გაყიდვით მიღებული ფული აღმოჩენილი არ არის“, – ასე უპასუხა ფოთმა თბილისს.

კომუნიზმის დროს, ავტომობილს ვერ იყიდდი, თუ შემოსავალს არ დაადასტურებდი, თუმცა ყველაფრის „გაიმასქნება“ შეიძლებოდა და ლოთ მეთევზესაც განცხადება ჰქონდა დაწერილი, რომ მანქანის ფულს წლების მანძილზე აგროვებდა, რომ ნაწილი ისესხა და ასე შეიძინა. იმის მიუხედავად, რომ მანქანა მის სახელზე ირიცხებოდა, საჭესთან არავის არასდროს უნახავს და ზოგადად, ეს მანქანა ფოთში არ დადიოდა. ამიტომ, გამომძიებლებმა საქართველოს მასშტაბით დაიწყეს იმის ძიება, იყო თუ არა სადმე ეს ავტომობილი დაჯარიმებული და თუ იყო, კონკრეტულად, რომელ ქალაქში. დადებითი პასუხი ქობულეთიდან მოვიდა – აღნიშნული ავტომანქანა ორჯერ იყო დაჯარიმებული და ქობულეთელმა „გაიშნიკებმაც“ მანქანის მფლობელი მარტივად დაასახელეს – ერთ-ერთი საწარმოს დირექტორის მოადგილე. ძიებით ისიც დადგინდა, რომ ავტომანქანის ფაქტიური და რეალური მფლობელები თანაკლასელები იყვნენ და ერთმანეთთან ურთიერთობა ბოლო დრომდე ჰქონდათ.

„როცა ჩემმა თანაკლასელმა მანქანა იყიდა, შემთხვევით შევხვდი, წავუქეიფეთ და შინ რომ ბრუნდებოდა, ხეს გაუსვა. მაშინ მითხრა, მე ამ მანქანით დავილეწები, შენ გყავდეს და თუ დამჭირდება, გამოგართმევ ხოლმეო. ჰოდა, მყავდა, ვუვლიდი, ამას წინათ კი დამირეკა, ფული მჭირდება, მანქანას ვყიდიო და ჩავუყვანე. მეც ვიყიდდი, მაგრამ ფული არ მაქვს“, – თავი მოისაწყლა დირექტორის მოადგილემ და ცხადი იყო, ტყუოდა. თბილისელმა სამართალდამცავებმა მოიკითხეს და გაარკვიეს, რომ ორიოდე კვირის წინ, ქობულეთში, საამქროს ერთ-ერთი მუშა უგზო-უკვლოდ გაქრა, მის ცოლზე კი ამბობდნენ, დირექტორის მოადგილეს ჰყვარობსო. დაკარგულის სამედიცინო ბარათით გაირკვა სისხლის ჯგუფი, რომელიც მანქანის ნაწილებზე ნაპოვნს დაემთხვა და ძალოვნებმა ახლა ქალი დაკითხეს. ის მარტივად შეაშინეს, ქმრის მკვლელობის გამო დაგხვრეტთო და ქალმაც ყველაფერი დაფქვა.

„ქმარმა გაიგო, რომ საყვარელი მყავდა, ჯერ მე მცემა, მერე კი თქვა, ის უნდა მოვკლაო და წავიდა. მას შემდეგ აღარ მინახავს და როცა მოადგილეს შევხვდი, მან მითხრა, აღარასოდეს შეგვაწუხებსო. არ ვიცი, სად და როგორ მოკლა, მაგრამ რომ მოკლა, ვიცი“, – განაცხადა დაკავებულმა.

მთავარი ეჭვმიტანილი დააკავეს, თბილისში ჩამოიყვანეს და აუხსნეს, რომ უტყუარი მოწმე ჰყავდათ, მისი ბინის ჩხრეკის დროს ამოღებულ ერთ-ერთი პიჯაკის სახელოზე სისხლის ლაქები ნახეს და რამეს დამალვას აზრი არ ჰქონდა. მანაც, სასჯელის შემსუბუქების გარანტიის მღების შემდეგ, ყველაფერი თქვა.

„ის კაცი ღამით მომივარდა, ნაჯახს იქნევდა. ვუთხარი, ქალაქგართ გავიდეთ, იქ გავარკვიოთ მტყუან-მართალი-მეთქი და დამთანხმდა. მანქანით გავედით და ჩვევად მქონდა, სავარძლის ქვეშ, რკინის ნაჭერი მუდმივად მედო. სიბნელეში მოვიმარჯვე და მანქანიდან რომ გადადიოდა, ჩავარტყი. დაეცა, მაგრამ არ მოკვდა, მე კიდევ მკვლელი არ ვარ და ამიტომ, მანქანით გადავუარე რამდენჯერმე. მერე გვამი ფოთისკენ წავიღე და ჭაობში მოვისროლე (სხვათა შორის, გამოძიებამ გვამი ვერ იპოვა). მანქანას რაც შეეხება, ჩემი კლასელის სახელზე შეგნებულად გავაფორმე, მე ვიყიდე, მაგრამ რომ არ ეყვირა, მის სახელზე იყო. მერე მანქანის მოშორება გადავწყვიტე და გავყიდე, ჩემი კლასელი კიდევ რამ და ვინ მოწამლა, მართლა არ ვიცი“, – განაცხადა მკვლელმა.

იმის მიუხედავად, რომ სამართალდამცავები დარწმუნებული იყვნენ, მეთევზეც დირექტორის მოადგილის მოწამლული იყო, სამხილი არ ჰქონდათ და ვერ დაუმტკიცეს. სასამართლომ კი მკვლელს... 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ვახტანგ გომელაური, პრემიერ-მინისტრთან და მთავრობის წევრებთან ერთად, სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული პოლიციელის სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელის ოთარ ღვინაშვილის სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრო. ირაკლი ღარიბაშვილმა და ვახტანგ გომელაურმა გარდაცვლილი პოლიციელის ოჯახის წევრებს, ახლობლებს, კოლეგებსა და მეგობრებს პირადად მიუსამძიმრეს.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციის უფროსი ლეიტენანტის ხსოვნას პატივი მიაგეს იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ, თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ.

20 იანვრის ღამეს, საგარეჯოში მომხდარი თავდასხმის დროს დაღუპული პოლიციელის, უფროსი დეტექტივის ოთარ ღვინაშვილის სამოქალაქო პანაშვიდები თბილისში, წმინდა ვახტანგ გორგასლის ტაძარში მიმდინარეობდა. დილიდან, გარდაცვლილი კოლეგის სამოქალაქო პანაშვიდზე მივიდნენ პოლიციელები, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების თანამშრომლები და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს უფროსი დეტექტივი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ოთარ ღვინაშვილი გუშინ, 24 იანვარს, მშობლიურ სოფელ პატარა ჩაილურში, სამხედრო პატივით დაკრძალეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს უფროსი დეტექტივის, პოლიციის უფროსი ლეიტენანტის, 1985 წელს დაბადებული ოთარ ღვინაშვილის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს, თანამშრომლებსა და ახლობლებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს უფროსი დეტექტივი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ოთარ ღვინაშვილი საგარეჯოში, ერთ-ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ეზოდან სროლის შესახებ მიღებულ გამოძახებაზე, კოლეგასთან ერთად, გამოცხადდა.

თავდამსხმელმა პოლიციელებს ერთ-ერთი საცხოვრებელი ბინიდან ცეცხლი გაუხსნა. მიყენებული ჭრილობების შედეგად, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ოთარ ღვინაშვილი გარდაიცვალა.

საგარეჯოში მომხდარის შედეგად გარდაცვლილია პოლიციის თანამშრომელი, ოთხი მოქალაქე და ასევე, თავდამსხმელი.

სხეულის სხვადასხვა დაზიანება მიიღო ხუთმა პირმა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 236-ე მუხლებით გრძელდება.

პროკურატურამ კორონავირუსით გარდაცვლილი ფეხბურთელის, ვახტანგ ჩარკვიანის საქმეზე კლინიკის უფროს ექთანს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ, ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში, კორონავირუსით გარდაცვლილი ახალგაზრდა ფეხბურთელის, ვახტანგ ჩარკვიანის საქმეზე, კლინიკის უფროს ექთანს ბრალდება ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე წარუდგინა.

უწყების ინფორმაციით, 2021 წლის სექტემბერში, სამედიცინო ისტორიის დახურვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ 2021 წლის 17 აგვისტოდან, ამავე წლის 10 სექტემბრის ჩათვლით დათარიღებული „პაციენტის დანიშნულების ფურცლები“ არ იყო ხელმოწერილი შესაბამისი მორიგე ექთნების მიერ.

ამასთან, საგამოძიებო უწყება აღნიშნავს, რომ ამავე პერიოდში, ბრალდებულმა ხსენებულ დოკუმენტზე, მორიგე ექთნების ნაცვლად, თავად მოაწერა ხელი, რითაც დოკუმენტში შეიტანა არასწორი ინფორმაცია, თითქოს პაციენტისთვის ჩატარებული სამედიცინო მანიპულაციები მის მიერ იყო შესრულებული, რეალურად კი მას აღნიშნული სამედიცინო მანიპულაციები არ ჩაუტარებია და არც მათ ჩატარებაში მიუღია მონაწილეობა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2021 წლის 11 აგვისტოს, პაციენტი ახალი კორონავირუსის მკურნალობის მიზნით, შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში“ მოთავსდა და მისი სამედიცინო ისტორია გაიხსნა.

პაციენტის მკურნალობის პროცესში, კლინიკის მორიგე ექიმებისა და ექთნების მიერ, ყოველდღიურად იწერებოდა სამედიცინო ისტორიის შემადგენელი დოკუმენტი – „პაციენტის დანიშნულების ფურცლები“, რომლებშიც უთითებდნენ ინფორმაციას პაციენტისთვის ჩატარებული სამედიცინო მანიპულაციების შესახებ (პაციენტის ვიტალური მონაცემების, მიწოდებული მედიკამენტებისა და მათი დოზების მითითებით). აღნიშნულ დოკუმენტს ხელმოწერით ადასტურებდნენ ექიმი და მორიგე ექთანი, რომლებმაც უშუალოდ ჩაატარეს სამედიცინო მანიპულაციები.

2021 წლის სექტემბერში, სამედიცინო ისტორიის დახურვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ 2021 წლის 17 აგვისტოდან, 2021 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით დათარიღებული „პაციენტის დანიშნულების ფურცლები“ არ იყო ხელმოწერილი შესაბამისი მორიგე ექთნების მიერ. ამავე პერიოდში, ბრალდებულმა ხსენებულ დოკუმენტზე, მორიგე ექთნების ნაცვლად, თავად მოაწერა ხელი, რითაც დოკუმენტში შეიტანა არასწორი ინფორმაცია, თითქოს, პაციენტისთვის ჩატარებული სამედიცინო მანიპულაციები მის მიერ იყო შესრულებული. რეალურად, მას აღნიშნული სამედიცინო მანიპულაციები არ ჩაუტარებია და არც მათ ჩატარებაში მიუღია მონაწილეობა. გაყალბების შემდეგ, აღნიშნული დოკუმენტები ბრალდებულმა სამედიცინო ისტორიაში მოათავსა.

უფროს ექთანს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება). პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება, დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები პაციენტის გარდაცვალების უშუალო მიზეზის დასადგენად“, – აღნიშნავს უწყება გავრცელებულ განცხადებაში.

კვარაცხელიამ „ნაპოლისთან“ ახალი კონტრაქტი შეათანხმა – 2.5 მილიონი ევრო წელიწადში

ხვიჩა კვარაცხელიამ, რომელმაც გაციების გამო, „ნაპოლის“ ბოლო შეხვედრა გამოტოვა, კლუბთან ახალი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე შეთანხმებას მიაღწია. ამის შესახებ იტალიური მედია იტყობინება და კონკრეტულ ციფრებსაც ასახელებს. მაშ ასე, ქართველი შემტევი ნეაპოლელებთან კონტრაქტს 2028 წლამდე აგრძელებს და თუ აქამდე, მისი წლიური ჯამაგირი 1.5 მილიონი იყო, ახლა ის 2.5 მილიონ ევროს მიიღებს.

საინერესო ის გახლავთ, რომ ყველა თანხმდება, „ნაპოლიმ“ ეს ნაბიჯი ერთადერთი მიზნით გადადგა – რაც უფრო ხანგრძლივია ხელშეკრულება, მით უფრო ძვირად იყიდება ფეხბურთელი და კლუბის პრეზიდენტმა, აურელიო დე ლაურენტისმა ყველაზე კარგად იცის, რომ 2028 წლამდე, მას ხვიჩას არავინ შეარჩენს. ამიტომ, გაზარდა ხელფასი, გაზარდა ხელშეკრულების ვადა და გაზარდა სატრანსფერო ფასი. ოფიციალურად, კვარაცხელიას ღირებულება 60 მილიონი ევროა, მაგრამ ცხადია, რომ ამ ფასად იტალიური კლუბი ქართველთან განშორებას არ აპირებს და საუკეთესო შემთხვევაში, მას 80 მილიონად დათმობს. იტალიურთან ერთად, ესპანური მედია ამტკიცებს, ამ ფასს ფლორენტინო პერესი უკვე მიმდინარე წლის ზაფხულში გადაიხდის და კვარაცხელია ახალ სეზონს „რეალში“ დაიწყებსო და ვნახოთ. მითუმეტეს, რომ მისი შეძენით „მანჩესტერ სიტიც“ არის დაინტერესებული და ხოსეპ გვარდიოლამ ქართველი შეძენის თხოვნით, კლუბის მფლობელებს უკვე მიმართა. ერთი გარემარბი „სიტის“ აუცილებლად სჭირდება და გვარდიოლას ხელში კვარაცხელია უფრო რომ განვითარდება, ადვილი მისახვედრია.

ისე, ყველა სპეციალისტი თანხმდება, რომ ურიგო არ იქნება, თუ ქართველი ლეგიონერი მომავალ სეზონს ისევ „ნაპოლიში“ დაიწყებს და გუნდის გამოცვლაზე მხოლოდ ამის შემდეგ იფიქრებს, რადგან ყოველწლიურად კლუბის ცვლა, ფერხბურთელისთვის სასარგებლო არ უნდა იყოს. ბოლო ორ წელიწადში, „ნაპოლი“ კვარაცხელიასთვის მესამე გუნდია – ის ყაზანის „რუბინიდან“ ბათუმის „დინამოში“ გადავიდა, საიდანაც იტალიას მიაშურა.

მამარდაშვილი გვინდა, მაგრამ 100 მილიონი ძვირია

საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის“ კაპიტანს, უგო ლორისს საუკეთესო პერიოდი ნამდვილად არ უდგას. 36 წლის კიპერი დამაჯერებელი არც მსოფლიოს ჩემპიონატზე იყო და პრემიერ-ლიგაშიც იმდენი შეცდომა დაუშვა, გუნდის თავკაცი, ანტონიო კონტე უკმაყოფილებას არ მალავს. ყველა თანხმდება, რომ მიმდინარე სეზონის ბოლოს, ლორისი „ტოტენჰემს“ დატოვებს, რაც იმას ნიშნავს, რომ „მამლებს“ ახალი მეკარე სჭირდებათ.

ბრიტანული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ტოტენჰემის“ იტალიელ თავკაცს, ლორისის შემცვლელად გიორგი მამარდაშვილი სურს, თუმცა... ახალი კონტრაქტის თანახმად, რომელიც ქართველმა მეკარემ „ვალენსიასთან“ გააფორმა, მისი გამოსასყიდი თანხა 100 მილიონი ევროა. ეს ციფრი კი ლონდონელებს ძალიან, ძალიან ეძვირებათ. გასაგებია, რომ მამარდაშვილის გადაბირების შემთხვევაში, მისი ასაკის გათვალისწინებით, კლუბი მეკარის პრობლემას 10 წლით მაინც მოაგვარებს, მაგრამ 100 მილიონი მაინც უზარმაზარ თანხად მოჩანს. ამიტომ, კონტეს სიაში სხვა მეკარეებიც არიან, მაგრამ თუ „ღამურები“ ფასს დააკლებენ, პირველ რიგში მოლაპარაკებები. სწორედ, გიორგის თაობაზე დაიწყება.

სუპერბრძოლა ჩაინიშნა – დვალიშვილი იანის წინააღმდეგ

UFC-ში, სუპერმსუბუქ წონაში, მსოფლიო რეიტინგის მესამე ნომერი მერაბ დვალიშვილი, მეორე ნომერ პიოტრ იანს შეხვდება. ბრძოლა ლას-ვეგასში, 11 მარტს (თბილისის დროით, 12 მარტს, გამთენიისას) არის ჩანიშნული და ღონისძიების მთავარი შეხვედრა იქნება. ადვილი მისახვედრია, რომ გამარჯვებული რეიტინგში მეორე ნომერი და ქამრის მთავარი პრეტენდენტი გახდება, იმ ქამრის, რომელიც ამჟამად ალჯამეინ სტერლინგს ეკუთვნის. როგორც ამერიკული მედია წერს, UFC-ის ორგანიზატორთა მთავარი მიზანი ის გახლავთ, რომ ქამრისთვის ერთმანეთს დვალიშვილი და სტერლინგი შეხვდნენ, რაზეც ორივე სპორტსმენი კატეგორიულ უარს აცხადებს. საქმე ის გახლავთ, რომ ისინი ერთ დარბაზში ვარჯიშობენ და განუყრელი მეგობრები არიან, შესაბამისად, ერთმანეთის წინააღმდეგ რინგზე გასვლა არ სურთ, თუმცა საქმე რომ აქამდე მივიდეს, მერაბმა ჯერ რუსი იანი უნდა დაამარცხოს.

ქართველის მეტოქე რიგითი ნამდვილად არ არის. იანი UFC-ის ყოფილი ჩემპიონი და ქამრის მფლობელია, იმ ქამრის, რომელიც სტერლინგთან შეხვედრაში დათმო და ახლა სანუკვარი მიზნისკენ მიიწევს, გზად კი ქართველი ეღობება. აღნიშნული შეხვედრა პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, რიგითი ბრძოლის ფარგლებს რომ გასცდება, ადვილი მისახვედრია და ორივე მოჩხუბარი განსაკუთრებულად ემზადება. 11 მარტამდე, სპორტული თვალსაზრისით, ძალიან ცოტა დრო არის დარჩენილი.

„იუვენტუსს“ 15 ქულა ჩამოაკლეს, რიგში „ნაპოლია“?

უკვე მერამდენედ, ტურინის „იუვენტუსი“ შარში გაეხვა. ფინანსური მაქინაციების გამო, არც თუ დიდი ხნის წინ, „ბებერი სინიორა“ სერია A-დან გააგდეს და როგორც იქნა, ის უძლიერესთა შორის დაბრუნდა, მაგრამ ახალი სკანდალი აგორდა. როგორც ფინანსური პოლიციის წარმომადგენლები ვარაუდობდნენ, ტურინული კლუბი, პანდემიის დროს, შემოსავლების ნაწილს მალავდა და ფეხბურთელებთან საიდუმლო გარიგებებს დებდა. შედეგად, სასამართლო პროცესი, რომელიც ერთ წელზე მეტხანს გაგრძელდა, „იუვენტუსისთვის“ ცუდად დასრულდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, კლუბს მიმდინარე ჩემპიონატში 15 ქულა ჩამოაჭრეს და გუნდი, რომელსაც საჩემპიონო პრეტენზია ჰქონდა, ახლა 22 ქულით, მეათე ადგილზეა და ძალიან დიდი ალბათობით, მომავალი სეზონისთვის ევროთასების საგზურის მოპოვებასაც ვერ შეძლებს.

ქულების დაკლების გარდა, „იუვენტუსის“ ყოფილ პრეზიდენტ ანდრეა ანიელისა და გენერალურ დირექტორს, მაურიციო არივაბენეს ფეხბურთში საქმიანობა 2-2 წლით აეკრძალათ, მოქმედ დირექტორს ფედერიკო კერუბინს – 16 თვით, ხოლო ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს, ლეგენდარულ ჩეხ პაველ ნედვედს – საფეხბურთო სფეროსთან გაკარება 8 თვით აუკრძალეს.

პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ იტალიის საფინანსო სამსახურმა დოკუმენტაცია ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლისგანაც“ გამოითხოვა. საუბარია ვიქტორ ოსიმენის ტრანსფერზე. ნიგერიელი ფეხბურთელი ფრანგული „ლილიდან“ ნეაპოლურ კლუბში 2020 წელს, 70 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა, მაგრამ არსებობს ეჭვი, რომ კლუბებმა ამ თანხის მიღმა, სხვა გარიგებაც დადეს, რითაც „ნაპოლიმ“ შემოსავლები და შესაბამისად, გადასახადები დამალა. ჰოდა, აპენინებზე ამბობენ, ეს ამბავი თუ დამტკიცდა, ქულების დაკლება არცცნეაპოლელებს ასცდებათო.

უსაინ ბოლტს 12 მილიონი მოპარეს

ლეგენდარული იამაიკელი სპრინტერი, უსაინ ბოლტი ჰაკერებმა გაძარცვეს. მისი ანგარიშიდან 12 მილიონი დოლარი გაქრა, რამაც ვეტერანი მორბენალი შოკში ჩააგდო. მან ფული საინვესტიციო კომპანია Stocks and Securities-ში დააბანდა, რათა სიბერეში მშვიდად ეცხოვრა. ეს ერთგვარი საპენსიო ფონდია, თუმცა გაირკვა, რომ აღნიშნული კომპანიის ანგარიშებს ჰაკერებმა შეუტიეს და დაზარალებული მხოლოდ ბოლტი არ არის.

„მთავარია, კონტრაქტში გვიწერია, რომ კომპანია ვალდებულია, ფულის დაკარგვის შემთხვევაში, ზარალი აანაზღაუროს. როცა გავიგეთ, რომ ანგარიშთან დაკავშირებით რაღაც პრობლემა იყო, ოფიციალური წერილი გავგზავნეთ და გვიპასუხეს, რომ მხოლოდ მილიონი დოლარი გაქრა, თუმცა შემდეგ დავაზუსტეთ და ციფრი 12 მილიონია ანუ მთელი დანაზოგი. ახლა სასამართლოში მივდივართ, რომელსაც აუცილებლად მოვიგებთ“, – განაცხადა ბოლტის ადვოკატმა.

ავსტრალიაში ჯოკოვიჩს ებრძვიან

სეზონის პირველი დიდი საჩოგბურთო ტურნირი გახურდა და ავსტრალიურ კორტებზე უძლიერესი ჩოგბურთელები ერთმანეთს ეჯიბრებიან. ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ ავსტრალიური პუბლიკა მსოფლიოს ნომერ პირველ ჩოგანს, ნოვაკ ჯოკოვიჩს არ სწყალობს და მის მიმართ აგრესიას არ მალავს.

მორიგი ინციდენტი 1/32-ფინალის სტადიაზე მოხდა, რომელშიც ჯოკოვიჩი ენცო კუაკოს ეთამაშებოდა და პირველი სეტის დამაჯერებლად, 6:1 მოგების შემდეგ, ნოვაკმა მეორე სეტი 6:7 დათმო და სანამ თამაშს განაახლებდა, ის მსაჯთან მივიდა.

„ტრიბუნებზე მთვრალი ადამიანების ჯგუფია, ისინი თამაშში ხელს მიშლიან. ისინი არ არიან აქ თამაშის საყურებლად მოსულები, მაგრამ იმიტომ მოვიდნენ, რომ ხელი შემიშალონ. ათჯერ მაინც ხომ გაიგეთ მათი ყვირილი? მე უფრო მეტჯერ გავიგე და მოვითხოვ, დაცვამ ისინი ტრიბუნებიდან გაიყვანოს და თამაშის შესაძლებლობა მომეცეს“, – განაცხადა ნოვაკმა.

სერბი ჩოგბურთელის პროტესტი დაკმაყოფილდა და დაცვამ მთვრალი ოთხეული ტრიბუნებიდან გაიყვანა... მომდევნო 2 სეტი ჯოკოვიჩმა 6:2, 6:0 მოიგო და 1/16-ფინალში გავიდა.

ალვეში ციხეში ჩასვეს

ბრაზილიელი დანი ალვეში მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელია. საკლუბო თუ სანაკრებო კარიერის განმავლობაში, მან 46 ტიტული მოიგო, რაც აბსოლუტური რეკორდია. ახლაც, 39 წლის ასაკში, ალვეში ბურთს მექსიკურ „პუმასში“ აგორებდა, მაგრამ სავარაუდოდ, კარიერის დასრულება მოუწევს – ის ციხეში ჩასვეს.

30 დეკემბერს, ბარსელონას ერთ-ერთი ღამის კლუბის თანამშრომლებმა პოლიცია გამოიძახეს. 23 წლის გოგონა ამტკიცებდა, უცხო მამაკაცმა, ჩემი ნებართვის გარეშე, ტრუსში ხელი ჩამიყო და გაუპატიურება სცადაო. გოგონა ხელს სწორედ დანი ალვეშს ადებდა. სამართალდამცავებმა ფეხბურთელი ჯერ დაკითხვაზე, შემდეგ კი სასამართლოში გადაიყვანეს. რა თქმა უნდა, მას საუკეთესო ადვოკატები იცავდნენ, მაგრამ სასამართლომ წინასწარი პატიმრობა გირაოს უფლების გარეშე შეუფარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ალვეშს გისოსებს მიღმა ყოფნა, საუკეთესო შემთხვევაში, ორი თვით მოუწევს.

როგორც ამბობენ, მოსამართლემ ეს გადაწყვეტილება კლუბში არსებული კამერების ჩანაწერის ნახვის შემდეგ მიიღო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გოგონას ბრალდებას საფუძველი აქვს. მექსიკურმა კლუბმა კი ალვეშთან კონტრაქტი ოფიციალურად გაწყვიტა და ახლა ყველა სასამართლო განხილვების მოლოდინშია.

რა არის გესტაციური დიაბეტი და რა გავლენას ახდენს ნაყოფზე

გვანცა პეტრიაშვილი

ის, რაც ყველა ორსულმა უნდა იცოდეს

გესტაციური დიაბეტი, იგივე, ორსულობის დიაბეტი, ორსულობისას, სისხლში განვითარებული შაქრის მაღალი რაოდენობაა და ძირითადად, მშობიარობის შემდეგ ქრება. შესაძლოა, გესტაციური დიაბეტი ორსულობის ნებისმიერ ეტაპზე განვითარდეს, თუმცა ყველაზე ხშირი ორსულობის მეორე ნახევარშია. ეს მაშინ ხდება, თუ ორგანიზმი ვერ გამოყოფს საკმარისი რაოდენობის ინსულინს (ჰორმონს, რომელიც ეხმარება სისხლში შაქრის დონის კონტროლს), რათა დააკმაყოფილოს ორსულობის დროს მომატებული მოთხოვნა. გესტაციურმა დიაბეტმა, შეიძლება, გამოიწვიოს პრობლემები, როგორც დედის ორგანიზმში, ასევე – ნაყოფის. ამ რისკის შემცირება შესაძლებელია, თუ დაავადება დროულად იდენტიფიცირდება და სწორად გაკონტროლდება. როგორია გესტაციური დიაბეტის მკურნალობის მეთოდი და რა უნდა გავითვალისწინოთ მისი არსებობის შემთხვევაში? – „ვერსია“ გინეკოლოგ ქეთევან მგალობლიშვილს ესაუბრა:

– ქალბატონო ქეთი, ზუსტად რას ნიშნავს გესტაციური შაქრიანი დიაბეტი?

– გესტაციური დიაბეტი ორსულობის დროს განვითარებული დიაბეტია. ამის გასაგებად ვაკეთებთ სისხლში შაქრის რაოდენობის განსაზღვრას. თუ მაჩვენებელი იქნება მაღალი, ამ შემთხვევაში, ვაკეთებთ დატვირთვით ტესტს. ყველაფერ ამას აქვს თავისი ნორმები, თუ ნორმაზე მაღალია მაჩვენებელი, ეს იმას ნიშნავს, რომ გესტაციური დიაბეტია. ასევე, მნიშვნელოვანია, როგორი ფორმის იქნება – მსუბუქი, საშუალო თუ მძიმე. როგორც წესი, გესტაციური დიაბეტი მშობიარობის შემდეგ ქრება და შეიძლება, ორსულობის ნებისმიერ ვადაზე განვითარდეს (ხშირად, ორსულობის მეორე ნახევარში ვითარდება).

– რა სიმპტომები ახასიათებს გესტაციური დიაბეტის მქონე ორსულს?

– ახასიათებს სხვადასხვა ნიშანი, მათ შორის, პირის სიმშრალე, წყლის მოთხოვნილება, ხშირი შარდვა, მომატებული შიმშილის გრძნობა. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს გესტაციურ დიაბეტთან, თუმცა შეიძლება არ აღინიშნებოდეს სიმპტომები. საჭიროა ენდოკრინოლოგის ჩართულობა, რადგან მხოლოდ ტესტის გაკეთება არ არის საკმარისი. ჩვენ, გინეკოლოგები, როგორც წესი, ამას ვადგენთ. თუ ზღვართან, ან მსუბუქი ფორმითაა, ვუნიშნავთ დიეტას, ხოლო მაღალი ციფრების შემთხვევაში, ენდოკრიონოლოგის კონსულტაცია აუცილებელია, რადგან ის დაეხმარება და ასწავლის, როგორ მართოს პროცესი.

სამწუხაროდ, ისეთი პაციენტებიც არიან, რომლებსაც ინსულინს უნიშნავენ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ინსულინი მთელი ცხოვრება უნდა იკეთოს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მყავდნენ პაციენტები, რომლებსაც იმდენად აგრესიული ფორმა და მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ, რომ საჭირო გახდა ენდოკრინოლოგის ჩართვა და ინსულინის დანიშვნა.

– რამდენად ხშირია ორსულებში ეს დაავადება?

– 30 წელია, ვმუშაობ ორსულებთან და ბოლო 7 წელია, ნამდვილად გახშირდა, მანამდე იშვიათად გვყავდა ასეთი პაციენტები.

– რა არის ამის მიზეზი?

– არასწორი კვება და სტრესული გარემო. იმდენად გახშირდა, რომ გაიდლაინებით მოწოდებულია, გავაკეთოთ ტესტი უზმოზე და შემდეგ სკრინინგზე, ამას ორალური გლუკოზის ტოლერანტობა ეწოდება. წყალში ვხსნით 75 მგ. გლუკოზას და ვასმევთ პაციენტს, ამის მიხედვით ვადგენთ ნორმებს. ორსულობის დროს, ნორმა – 3.9-დან 5.5-მდეა, თუ 5.6 ან 7-მდეა, ეს პრედიაბეტია, მაღალი მაჩვენებელი კი უკვე დიაბეტად ითვლება, რაც უნდა მართოს ენდოკრინოლოგმა. იმ პაციენტებს, რომლებსაც ინსულინს უნიშნავენ, მშობიარობის შემდეგ, როგორც წესი, უხსნიან და ჩვეულებრივ ურეგულირდებათ მდგომარეობა.

– რომელი ორსულები შედიან რისკ-ჯგუფში?

– რისკ-ჯგუფებში შედიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ სხეულის დიდი მასა. თუ წონის მასის ინდექსი 30-ზე მეტია, მაშინ რისკ-ჯგუფში შედის. თუ ანამნეზში, წინა მშობიარობისას დიდი ნაყოფი ჰყავდა, მაგალითად, 4 კილო ან მეტი, ესეც რისკ-ჯგუფია და თუ წინა მშობიობაზე ჰქონდა გესტაციური დიაბეტი. ასევე, ისინიც რომელთა მშობლებიც შაქრიანი დიაბეტით არიან დაავადებულნი.

– რა გავლენას ახდენს ორსულობაზე გესტაციური დიაბეტი, რა რისკის წინაშეა დედა და ნაყოფი?

– თუ კარგად მართავს ექიმი სიტუაციას, არეგულირებს ყველაფერს და დიეტაზეა პაციენტი, ასევე, ნაყოფი ძალიან არ იმატებს, რა თქმა უნდა, უმეტეს შემთხვევაში, ჯანმრთელები იბადებიან, თუმცა თუ აგრესიულად მიდის პროცესი და ნაყოფი დიდია, საკეისრო კვეთა ტარდება. ასევე, შესაძლებელია ნაადრევი მშობიარობის რისკიც იყოს. არ მინდა, ვინმე შევაშინო, მაგრამ თუ უყურადღებოდაა ორსული, შეიძლება, ამან მკვდრადშობადობაც გამოიწვიოს

– როგორ ავირიდოთ ეს დაავადება?

– პირველი ორსულობის დროს, თუ მანამდე არაფერი გვაწუხებდა, გესტაციურ დიაბეტზე გამოკვლევას არავინ იკეთებს, მაგრამ თუ ორსულობის დროს, ეს დაავადება დაფიქსირდა, მეორე ორსულობის დაგეგმვა არ შეიძლება, სანამ კვლევებს არ გაიკეთებს პაციენტი. არ არის აუცილებელი ორსულობა, თუ არ ხართ ორსულად, თავისუფლად შეიძლება ამ კვლევების ჩატარება, რათა თავი დავიზღვიოთ და ავირიდოთ არასასურველი შედეგები. აუცილებლად უნდა დაიგეგმოს შემდეგი ორსულობა. ასევე, რა თქმა უნდა, შესაძლებელია შემდეგ ორსულობაზეც განმეორებით გამოვლინდეს დიაბეტი. ამიტომ, ორსულობის დაგეგმვისას რეკომენდებულია, კონსულტაცია გაიაროთ ენდოკრინოლოგთან, რათა შეფასდეს განვითარების რისკები და ქალმა მიიღოს შესაბამისი რეკომენდაციები.

– რა რეკომენდაციას მისცემთ ქალბატონებს, რომლებსაც ორსულობის დროს გამოუვლინდათ ეს დაავადება?

– თუ აღმოჩნდა ციფრები, რომლებიც ახლოს დგანან ნორმასთან, მაშინ ვუნიშნავთ დიეტას. დიაბეტში ყველაზე საყურადღებო არის ის, რომ ნახშირწყლების ტოლერანტობა ირღვევა, ამიტომ აუცილებელია ხშირად კვება და პატარა ულუფებით, დღეში 3-4-ჯერ. ხშირად, ორსული მეუბნება, რომ დილით ისაუზმა და საღამოს ივახშმა, რაც არ შეიძლება. მნიშვნელოვანია ცილოვანი საკვების მიღება, ასევე სახამებლიანი საკვები, რომელიც შაქარს უფრო ნელა გამოყოფს, ესენია: წიწიბურა, შვრია, ლობიო, შავი პური, ქატოს პური. თეთრი პური და კარტოფილი. აუცილებელია, რომ რაციონიდან ტკბილეული ამოვიღოთ.

შეყვარებული ქალი დამნაშავედ სცნეს

ნისლიან ალბიონზე მცხოვრები 28 წლის მიშელ ფელტონი, რომელმაც შეყვარებულს 1 000 მესიჯი გაუგზავნა, სასამართლომ დამნაშავედ სცნო. მიშელი შეყვარებულს, რაიან ჰარლის 2021 წლის თებერვალში დაშორდა. თუმცა, ქალს ამ განშორების გადატანა ძალიან გაუჭირდა, ის ყოფილ პარტნიორს რეგულარულად ურეკავდა და შეტყობინებებს უგზავნიდა. რაიანს მისგან ყოველდღიურად 150 მესიჯი მაინც მისდიოდა. მოგვიანებით ქალმა, ყოფილი შეყვარებულის სახლის კართან საჩუქრების დატოვება დაიწყო. ჰარლი აცხადებს, რომ მიშელის ქმედებების გამო სუიციდის პირას აღმოჩნდა და დახმარებისთვის სამართალდამცავებს მიმართა. შეყვარებულმა ქალმა ბრალი აღიარა. სასამართლომ მას 18 თვის განმავლობაში საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა დააკისრა და რაიანთან ურთიერთბა აუკრძალა.

ძაღლებს ავტობუსით ასეირნებენ

აშშ-ში, ალიასკაზე მცხოვრები ცოლ-ქმარი ოთხფეხა მეგობრებს ავტობუსით ასეირნებს. როგორც მედია წერს, უკვე ორი წელია, ლი ტომპსონსა და მის მეუღლეს ძაღლების გასეირნების სერვისი აქვთ, თუმცა წყვილმა ფეხით სეორნობას ავტობუსის ყიდვა და ყოველდღიურად, ცხოველების სხვადასხვა ადგილას ექსკურსიაზე წაყვანა გადაწყვიტა. ტომპსონი ამბობს, რომ ძაღლებს სახლებთან აკითხავენ, ყოველმა მათგანმა ტრანსპორტში საკუთარი ადგილი იცის და მოგზაურობაც ძალიან მოსწონთ. ექსკურსიის შემდეგ მათ კვლავ სახლებში აბრუნებენ. ტომპსონების სერვისით ყველა კმაყოფილია და ისინი საკმაოდ პოპულარულებიც არიან სოციალურ ქსელებში.

პრინცის ავტობიოგრაფია რეკორდების წიგნში მოხვდა

ბრიტანეთის პრინც ჰარის ავტობიოგრაფიული წიგნი „სათადარიგო“ გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. მისი გამოსვლის დღეს აშშ-ში, კანადასა და დიდ ბრიტანეთში, წიგნის 1 430 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა. ასეთი შედეგი არამხატვრული ლიტერატურის კატეგორიაში ჯერ არ ყოფილა – პრინცის სკანდალური მემუარები ყველა დროის ყველაზე გაყიდვადი ავტბიოგრაფია გახდა. დღემდე რეკორდი აშშ-ს ექს-პრეზიდენტ ბარაკ ობამას წიგნს – „აღთქმული მიწა“ ეკუთვნოდა, გამოსვლის პირველ დღესვე – 887 ათასი გაყიდული ეგზემპლარით. გინესის რეკორდების ოფიციალურ საიტზე წერენ, რომ ჰარის წიგნის გაყიდვები უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, თუმცა გამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე, პრინცის ავტობიოგრაფია ესპანეთში თითქმის სრულად გავრცელდა ინტერნეტით.

„სათადარიგოში“ ჰარი აღწერს, როგორ მოიხმარდა ნარკოტიკებს და აღიარებს, რომ ავღანეთში მსახურობისას, თალიბებს ხოცავდა. წიგნში პრინცი, მეგან მარკლის გამო, უფროს ძმასთან კონფლიქტზეც წერს. მემუარების გამოსვლის წინ, ინტერვიუში, ჰარი სამეფო ოჯახს ბრალს სდებს, რადგან ბრიტანულ პრესას მასზე და მეგანზე თავდასხმებში მხარს უჭერდა.

ძაღლებისთვის დაბერების საწინააღმდეგო აბებს შექმნიან

ჩვენს ოთხფეხა მეგობრებთან ურთიერთობისას, ყველაფერი იდეალურად არის ხოლმე, ვიდრე მტკივნეული რეალობის წინაშე არ აღმოვჩნდებით – ძაღლები ადამიანებზე გაცილებით ცოტახანს ცოცხლობენ. ამის გამო, კომპანია Loyal-მა გადაწყვიტა, ჩაატაროს კვლევები იმის გასარკვევად, რამდენად შეიძლება ძაღლებისთვის სიცოცხლის გახანგრძლივება დაბერების საწინააღმდეგო აბების საშუალებით. ჯერჯერობით, სწავლულები საწყის ეტაპზე არიან და არც დამაიმედებელი კლინიკური შედეგები გვიხილავს. ამ ეტაპზე, კომპანია სხვადასხვა ჯიშის ასაკოვან ცხოველებზე ატარებს კვლევებს. სპეციალისტები LOY-001-ზე მუშაობენ, რომელსაც შედარებით დიდი ჯიშის ძაღლებს მისცემენ, მეორე პროდუქტი კი LOY-002 – ყოველდღიური იქნება, რომელიც ოთხფეხა მეგობრებს ჯანმრთელ დაბერებაში უნდა დაეხმაროს. ამჟამად, ორივე პრეპარატი საპილოტე რეჟიმშია და მათი გაშვება 2024 და 2026 წლებში იგეგმება.

ელექტროენერგიას თოვლისგან მიიღებენ

ამომავალი მზის ქვეყანაში, კუნძულ ჰონსიუზე მდებარე ქალაქ აომორიში, სწავლულებმა დაიწყეს მუშაობა თოვლისგან ეექტროენერგიის მიღების მეთოდებზე. ამ გზით ისინი განახლებადი ელექტროენერგიის წყაროს შექმნასა და ენერგიის დეფიციტის აღმოფხვრას შეეცდებიან. აომორი კუნძულის უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარე პრეფექტურის ცენტრია. ულამაზესი ტყეების გარდა, ეს ქალაქი იმითაცაა ცნობილი, რომ ყველაზე უხვთოვლიანი ადგილია. თოვლის საშუალო სიმაღლე აქ, ყოველწლიურად, დაახლოებით, 8 მეტრს მაინც აღწევს. შარშან აომორიში იმდენი თოვლი მოვიდა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას ქუჩებისა და შენობების გასაწმენდად 46 მილიონი დოლარის გახარჯვა მოუხდა. აქ იაპონელები თოვლს აგროვებენ და ზღვაში ყრიან. სტარტაპ Forte-ს მკვლევარები კი აპირებენ, ჭარბი თოვლი სუფთა ელექტროენერგიის მისაღებად გამოიყენონ. შესაბამისი ტექნოლოგიის გამოცდები მათ უკვე დაიწყეს. იდეის ავტორები ირწმუნებიან, რომ თოვლზე დამყარებული მეთოდი მზის პანელებზე არანაკლებ ეფექტიანი და გაცილებით იაფი იქნება. თუ მათი კვლევები წარმატებული იქნება, შესაძლოა, განახლებადი ენერგიის ახალი წყარო მივიღოთ.

ექსკრემენტების საცავი გახსნეს

შვეიცარიელმა სწავლულებმა მიკრობიოლოგიის ინსტიტუტიდან, მიკრობიოტის შესანახი საცავი გახსნეს. მათი თქმით, ერთხელაც ის კაცობრიობას გადაშენებისგან იხსნის. ბაქტერიები, ვირუსები და სოკოები, რომლებიც ადამიანის ნაწლავებში ცხოვრობენ, საკვანძო როლს თამაშობენ საკვების გადამუშავებაში – ორგანიზმს საკვები ნივთიერებების ათვისებაში ეხმარებიან და სხვადასხვა სისტემების მუშაობაშიც მონაწილეობენ. თუმცა, მიკროორგანიზმების რაოდენობა თანდათან მცირდება და ამიტომ, სწავლულებმა გადაწყვიტეს, მათი შენახვა – გაყინული ექსკრემენტების სახით. დღეისთვის, სპეციალისტებმა ექსკრემენტების 3 ათასამდე ნიმუშის მოგროვება შეძლეს, ძირითადად, შვეიცარიიდან. თუმცა, მათ „კოლექციის“ გაფართოება სურთ, რადგან მიკრობიომი განსხვავდება რეგიონისა და ცხოვრების წესის მიხედვით. ნიმუშები ჩაიტანეს პუერტო-რიკოდან და ეთიოპიიდანაც. ნიმუშები ჯერჯერობით ლაბორატორიულ საყინულში, -80 გრადუსზე ინახება. მოგვიანებით კი „კოლექციას“ ალპებში მდებარე ძველ სამხედრო ბუნკერებში გადაიტანენ.

მსოფლიოში საუკეთესო რესტორანი იხურება

დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში მდებარე რესტორან „ნომას“ მფლობელებმა განაცხადეს, რომ 2024 წლის ბოლოს შეწყვეტენ მომხმარებლების მიღებას. ორიგინალური კერძები, რომლებიც არაერთხელ გახდა მაღალი ჯილდოების მფლობელი, საკმაოდ რთული მოსამზადებელია და ძვირიც ჯდება. ბიზნესი ხარჯს ვერ ინაზღაურებს იმის მიუხედავად, რომ ეს კერძები საკმაოდ ძვირადღირებულია. აქ სადილის ფასი, ერთ ადამიანზე, დაახლოებით, 500 დოლარი ჯდება. „ნომა“ სკანდინავიური სამზარეულოს ყველაზე ცნობილია რესტორანია კოპენჰაგენში. ის მიშლენის სამი ვარსკვლავის მფლობელია. 2010 წელს, ეს დაწესებულება მსოფლიოში საუკეთესო რესტორნად აღიარეს, 2011 წელს კი საუკეთესო რესტორნების 50-ეულს ედგა სათავეში.

კაკაო სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს

ამერიკელმა სწავლულებმა კაკაოს სასარგებლო თვისებებს კიდევ ერთი დაუმატეს და განაცხადეს, რომ ეს გემრიელი სასმელი სასიკეთო გავლენას ახდენს სისხლის მიმოქცევაზე ქვედა კიდურებში, აუმჯობესებს სისხლძარღვების მდგომარეობას და წვივის კუნთების ფუნქციას. სპეციალისტებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს პაციენტებზე, რომელთა ასაკი 60 წელს აღემატებოდა და რომელთაც პერიფერიული არტერიების დაავადებები აწუხებდათ. ამ დაავადების დროს, ფეხებში დარღვეულია სისხლის ცირკულაცია. მოხალისეთა ერთ ჯგუფს, ნახევარი წლის განმავლობაში, ყოველდღიურად, სამ ფინჯან ცხელ კაკაოს ასმევდნენ, მეორე ნახევარს კი – პლაცებოს. ექვსი თვის შემდეგ ჩატარებულმა ტესტებმა აჩვენა, რომ პირველ ჯგუფში მყოფ პაციენტებს, მეორე ჯგუფთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდათ მდგომარეობა.

გულის დაავადებებს ხმით ამოიცნობენ

აშშ-ს მეიოს კლინიკის მკვლევარები ვარაუდობენ, რომ გულსისხლძარღვთა დაავადების მქონე პირებში გულის შეტევის რისკის ამოცნობა მათი ლაპარაკის მიხედვით შეიძლება. საუბარია კომპიუტერულ ალგორითმზე, რომელიც პაციენტების ხმების ჩანაწერის მიხედვით გამოთვლის, ვინ არის უფრო სერიოზული რისკქვეშ. ალორითმმა გააანალიზა ადამიანის ხმის 80-ზე მეტი მაჩვენებელი, მათ შორის, სიმაღლე, ინტონაცია, ცვლილებები სიხშირესა და ტონში – ისიც კი, რაც ადამიანის ყურისთვის შეუმჩნეველია. რა გავლენას ახდენს გულის მდგომარეობა ხმაზე, სწავლულებს ჯერ არ დაუდგენიათ, თუმცა მათი ვარაუდით, ეს ნერვულ სისტემას უკავშირდება. კვლევისას, მედიკოსებმა 108 პაციენტს, რომელთა ასაკი 60 წლის ფარგლებში იყო და სავარაუდოდ, გულის იშემიური დაავადებები ჰქონდათ, სმარტფონზე სამი პატარა ხმოვანი ჩანაწერის გაკეთება სთხოვეს. თითოეული ჩანაწერი ალგორითმმა შეამოწმა და მაღალ რისკქვეშ მყოფები გამოავლინა. ამ პაციენტებზე კიდევ ორი წლის დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ ალგორითმით მონიშნული პაციენტების 60%, ამ ორი წლის განმავლობაში, გულის შეტევით მოხვდა კლინიკაში.

ბიტკოინით გამდიდრებული ქონებას არიგებს

უცნობმა მილიონერმა, რომელმაც ბიტკოინებით დიდი ქონება იშოვა, გადაწყვიტა ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი ქვემლოქმედებაზე დახარჯოს. თანხის შესაწირად მან ფონდი Pineapple Fund დაარსა, რომლის მიზანიც იმ 86 მილიონი დოლარის დარიგებაა, რაც კრიპტოვალუტის კურსის მნიშვნელოვანი ზრდით იშოვა. ანონიმი მილიონერის თქმით, ბიტკოინებით მოსალოდნელზე გაცილებით დიდი შემოსავალი მიიღო და ახლა უფრო მეტი ფული აქვს, ვიდრე დახარჯვა შეუძლია. ერთ-ერთი საიტის ცნობით, საკუთარი ფონდის მეშვეობით, მილიონერი უკვე დაეხმარა რვა სხვადასხვა ორგანიზაციას და შვიდი მილიონი დოლარი დახარჯა.

წყალქვეშა სადგომი ველოსიპედებისთვის

ამსტერდამში, ცენტრალური სადგურის ახლოს, ველოსიპედებისთვის წყალქვეშა სადგომი ააშენეს. ის ამ „ჩრდილოეთის ვენეციის“ ცნობილი არხების ქვეშ მდებარეობს. ნიდერლანდების დედაქალაქს სადგომი საშუალებას მისცემს, სანაპირო ზოლიდან ათასობით ველოსიპედი მოაშოროს, რომლებსაც რეგულარულად ტოვებენ მგზავრები. საკუთარ სატრანსპორტო საშუალებას იქ უფასოდ ერთი დღით შეინახავენ, მერე კი დღეში 1.35 ევროს გადაიხდიან. მუნიციპალური სადგური ყველაზე ხალხმრავალი ადგილია ამსტერდამში. სადგომის წყალქვეშ ჩატანით საზოგადოებრივი სივრცე გამოთავისუფლდა ფეხით მოსიარულეებისთვის, ტურისტებისა და შეზღუდული უნარის მქონე ადამიანებისთვის, – აცხადებს მერიის წარმომადგენელი. ბოლო მონაცემებით, 835 ათასი ამსტერდამელი დღეში 665-ათასჯერ მგზავრობს ველოსიპედით.

თავისუფლებისთვის აეროპორტში გადასახლდა



ჩინელი მამაკაცი თავისუფლების ძიებაში ოჯახიდან წავიდა. მისი ისტორია ადგილობრივ მედიაში გავრცელდა. 60 წლის ვეი ცზიანგო ჯერ კიდევ 2012 წელს გაიქცა სახლიდან. „არ შემიძლია შინ დაბრუნება, რადგან იქ მე არანაირი თავისუფლება არ მაქვს“, – განაცხადა მამაკაცმა. ოჯახის წევრები ვეის მოწევასა და დალევას უკრძალავდნენ. მას ულტიმატუმიც კი წაუყენეს – ან ოჯახში ცხოვრება, ან მავნე ჩვევები და ყოველთვიური ჯარიმა, ათასი იუანის ოდენობით (ეს მისი მთლიანი პენსიაა). „როგორ ვიყიდო მერე სიგარეტი და დასალევი“, – აღშფოთდა ჩინელი და ბოლოს ისე შეწუხდა შინაურების პრეტენზიებით, რომ სახლიდან წასვლა გადაწყვიტა... პეკინის აეროპორტში. პოლიციამ ის არაერთხელ დააბრუნა სახლში, მაგრამ უშედეგოდ, ყოველ ჯერზე, ვეი უკან ბრუნდებოდა. „აეროპორტში ცხოვრება მირჩევნია, აქ თავისუფლება მაინც მაქვს“, – აცხადებს გაქცეული მამაკაცი.

სპერმას ძვლის ტვინისგან მიიღებენ

გერმანელ მკვლევართა ჯგუფმა ადამიანის ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედებიდან სპერმატოზოიდების წინამორბედი – უჯრედების მიღება შეძლო. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერებმა მნიშვნელოვნი ნაბიჯი გადადგეს ლაბორატორიულ პირობებში, ხელოვნური სპერმის მიღების საქმეში. გამოკვლევა გეტინგენის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ლაბორატორიაში ჩატარდა. გერმანელმა სწავლულებმა მოხალისე მამაკაცების ძვლის ტვინის ნიმუშებიდან აღებული ღეროვანი უჯრედები გამოიყენეს. უნდა აღინიშნოს, რომ ნორმაში ეს უჯრედები დიფერენცირდება ძვლის, ხრტილის, კუნთოვან ან ცხიმოვან უჯრედებში. მკვლევრებმა შეძლეს უჯრედების დიფერენციაციის მიმართულების შეცვლა და ისინი სპერმატოგონინად – ჩამოყალიბებული სპერმატოზოიდების წინამორბედებად აქციეს, რომლებიც ქრომოსომათა ორმაგ ნაკრებს შეიცავენ.

სრულყოფილ სპერმატოზოიდებად გადასაქცევად, სპერმატოგონინებმა მეიოზის დაყოფა უნდა გაიარონ, რომლის დროსაც, მათში ქრომოსომათა რიცხვი ორჯერ მცირდება. პროცესის ამ სტადიამდე მიყვანა ლაბორატორიულ პირობებში ვერ მოხერხდა. ადამიანის ძვლის ტვინისგან სრულყოფილი სპერმის მისაღებად, როგორც გამოკვლევის ავტორები აცხადებენ, კიდევ სამი-ხუთწლიანი გამოკვლევებია საჭირო. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცხადი, მსგავსი ტექნოლოგიები დაიმკვიდრებენ თუ არა ადგილს მედიცინაში, კერძოდ, მამაკაცის უნაყოფობის მკურნალობაში.

„ბუდას ყურებს“ იკეთებენ

ვიეტნამში სულ უფრო პოპულარული ხდება კოსმეტიკური პროცედურა, რომელსაც „ბუდას ყურებს“ უწოდებენ. ადგილობრივი მედიის ცნობით, სილამაზის სალონებს უამრავი ადამიანი აკითხავს, რათა ყურის ბიბილოში შემავსებელი შეიყვანონ. ადგილობრივებს სწამთ, რომ ბიბილოს ზომის გაზრდით, ბუდას ყურის მსგავსი ექნებათ, ეს კი მათ სიმდიდრისა და წარმატების მოიზიდვაში დაეხმარება. „ბუდას ყურებს“ ყველაზე მეტად 30 წელს გადაცილებული მამაკაცები იკეთებენ, რომელთაც მიაჩნიათ, რომ რელიგია დიდ როლს ასრულებს მათ წარმატებასა და ბიზნესში. თუმცა, მედიკოსები მოსახლეობას აფრთხილებენ, რომ მსგავსი ოპერაცია სავალალო შედეგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. მიზეზი – იაფფასიანი ჰიალურონის მჟავაა, რომელსაც ეკონომიის მიზნით იყენებენ.

ადამიანის გაახალგაზრდავებას შეძლებენ

ბრიტანელმა სწავლულებმა, კემბრიჯის ბაბრეგის ინსტიტუტიდან, კანის უჯრედების 30 წლით გაახალგაზრდავების უნიკალურ მეთოდს მიაგნეს. სპეციალისტებმა უჯრედებში ემბრიონალური გენები შეიყვანეს, რომლებიც ხელს უწყობენ კოლაგენის გამომუშავებას და აღადგენენ ქსოვილს, ხრტილსა და ძვალს. გარდა ამისა, ასეთი მეთოდით გაახალგაზრდავებამ იმ გენების აქტიურობა დააქვეითა, რომლებიც ასაკობრივ დაავადებებს უკავშირდება. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მათი აღმოჩენა სასარგებლო იქნება არა მხოლოოდ ბუნებრივ დაბერებასთან ბრძოლაში, არამედ, ზოგიერთი ქრონიკული და ასაკობრივი დაავადების, მათ შორის, ალცჰაიმერისა და კატარაქტის წინააღმდეგ ბრძოლაშიც.

ფიქრებს გამოსახულებად აქცევს

ჰელსინკის უნივერსიტეტის სწავლულებმა ტვინისა და კომპიუტერის დამაკავშირებელი ინტერფეისი შექმნეს, რომელიც ადამიანის ფიქრებში არსებულ სურათებს რეალურ გამოსახულებად აქცევს. მკვლევართა განცხადებით, შესაძლოა, მათი შექმნილი ტექნოლოგია ფსიქოლოგიასა და კოგნიტურ ნეირომეცნიერებაში დაინერგოს. ექსპერიმენტებისას, რომლებშიც 31 მოხალისე მონაწილეობდა, მოწყობილობამ მათ ფიქრებში არსებული სახეების ამოცნობა და მათი მიხედვით გამოსახულებების შედგენა შეძლო. ისინი 83%-ით ზუსტი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ინტერფეისები მეცნიერებს ადრეც შეუქმნიათ. ისინი კომპიუტერსა და ტვინს შორის მხოლოდ ცალმხრივი კომუნიკაციის საშუალებას იძლეოდნენ. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ხელოვნურმა ინტელექტმა ფიქრებში არსებული სურათების ამოცნობასთან ერთად, მათ ინტერპრეტაციასა და ხორცშესხმასაც წარმატებით გაართვა თავი.

ხორცისმჭამელები დიდხანს ცოცხლობენ



მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა ხორცის მოხმარებასა და სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის კავშირი შეისწავლა. სწავლულებმა ავსტრალიიდან, იტალიიდან, შვეიცარიიდან და პოლონეთიდან, მსოფლიოს 175 ქვეყნის მცხოვრებლების მონაცემები გააანალიზეს. მათი თქმით, ხორცის ჭამასა და დაავადებებს შორის ირიბი კავშირი არსებობს, რაც ბოლო 50 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევებით გამოიკვეთა და რამაც საფუძველი ჩაუყარა ვეგეტარიანებლობასა და ვეგანობას. არსებობს მოსაზრებაც, რომ ვეგეტარიანელები სიცოცხლის ხანგრძლივობით გამოირჩევიან. მკვლევართა ჯგუფმა ეს ჰიპოთეზა შეამოწმა და აღმოაჩინა, რომ ნახშირწყლოვანი კულტურებიდან (მარცვლეული და ბოლქვოვნები) ენერგიის მოხმარება არ იწვევს სიცოცხლის გახანგრძლივებას. პირიქით, ხორცის ზომიერი მოხმარება უფრო უკავშირდება დღეგრძელობას. ადამიანი ხორციან საკვებს მიჩვეულია და მას თითქმის ორი მილიონი წელია მოიხმარს, – აცხადებენ მკვლევარები. ნახშირწყლოვან პროდუქტებს კი გაცილებით ნაკლები კვებითი ღირებულება აქვთ, ვიდრე ხორცს. ხორცში არსებული კომპონენტები ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობას.

მრავალჯერადი ქაღალდი შექმნეს

სინგაპურელმა სწავლულებმა ჰიპოალერგიული, მრავალჯერადი ქაღალდი შექმნეს მცენარეული მტვრისგან – ის ბეჭდვის რვა ციკლსა და ტექსტის წაშლას უძლებს. ახალი მასალა უამრავ ტყეს გადაარჩენს გაჩეხვისგან, მისი წარმოება კი უსაფრთხოა გარემოსთვის. დღეს არსებული ხე-ტყის მასალის 40% ქაღალდის წარმოებაზე მოდის გარდა ამისა, მის დასამზადებლად მაღალ ტემპერატურასა და ქიმიურ ნივთიერებებს იყენებენ, რაც დიდ ზიანს აყენებს ატმოსფეროს. სპეციალისტებმა ახალი ტექნოლოგიით 0.03 მილიმეტრის სისქის ქაღალდი მიიღეს, ტენის შეწოვის თავიდან ასაცილებლად კი, ის ძმარმჟავით დაამუშავეს

კანფეტები ჯანმრთელობის სადარაჯოზე

გერმანელმა სწავლულებმა მიუნჰენის დაბერებასთან ბრძოლის ინსტიტუტიდან, „ახალგაზრდობისა და ბედნიერების კანფეტები“ შექმნეს. ტკბილეულის შემადგენლობაში მხოლოს ნატურალური ინგრედიენტები შედის – შავი შოკოლადი, მანგოს პიურე, სოიოს რძე და ჩირები. მეცნიერთა თქმით, კაკაოს მარცვლები მდიდარია ფენილეთილამინით და პოლიფენოლებით, რაც დადებით გავლენას ახდენს არტერიულ წნევაზე. ფენილეთილამინი – ქიმიური ნაერთია, რომელიც სტიმულატორის სახით მოქმედებს უჯრედებზე, პოლიფენოლები კი, როგორც ცნობილია, უჯრედებს იცავს თავისუფალი რადიკალებისგან, რაც ორგანიზმის დაბერებას იწვევს. პოლიფენოლები პოზიტიურ გავლენას ახდენენ ქალის ორგანიზმზე მენოპაუზის დროს, მამაკაცებში კი წინამდებარე ჯირკვლის პრობლემებს აღკვეთს. მანგოს ნაყოფი, თავის მხრივ, ენზიმებს შეიცავს, რომელიც აჩქარებს ნივთიერებათა ცვლას და აფერხებს ანთებით პროცესებს. ხილის ჩირი, რომელიც ასევე შედის ახალი კანფეტების შემადგენლობაში, ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გამართულ მუშაობას.

თხევად კვერცხს გაყიდიან

კვერცხი – ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხშირად მოხმარებადი პროდუქტია მთელ მსოფლიოში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე, საშუალოდ, წელიწადში, 145 კვერცხი მოდის. ვეგეტარიანული კვების გავრცელებასთან და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, სპეციალისტები ცდილობენ, კვერცხის მცენარეული ალტერნატივა შექმნან. ერთ-ერთი ბოლო ასეთი სიახლეა პროდუქტი, რომელიც ინდურმა სტარტაპმა – EVO Foods შექმნა. წინამორბედებისგან განსხვავებით, ეს კვერცხი აბსოლუტურად თხევადია, მისი ტექსტურაც გაცილებით რბილია, ვიდრე ჩვეულებრივი კვერცხის. ის პარკოსანი მცენარეებისგან მიიღეს. ასეთი კვერცხი მაცივარში ნახევარი წელი ინახება. სპეციალისტების თქმით, მცენარეული კვერცხი არ შეიცავს ქოლესტერინს, ანტიბიოტიკებს და ნაკლები ცხიმითა და კალორიებით გამოირჩევა. პროექტმა უკვე მიიზიდა ამერიკული ინვესტიცია და წლის ბოლოდან, მცენარეული თხევადი კვერცხი უკვე აშშ-ის სავაჭრო ობიექტებშიც გამოჩნდება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.